დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
(სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხამის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **თამარ აბაზაძე**-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.

წევრები:

თამარ თაბუაშვილი– ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
ანა ტაბატაძე –საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
თამარ ცხადაია –საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ნინო თამარაშვილი –უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ნინო ბერიშვილი– ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ავთანდილ ცნობილაძე– ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
ირინა ჯანაშია– სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ირაკლი ქობალია –მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
მურად ფახურიძე– სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ნინო მახარაშვილი –ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხამის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	239402829

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი ცხამი
ფაქტობრივი მისამართი	სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი ცხამი
საფოსტო ინდექსი	4000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tskhami@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	სკოლას ტელეფონი არ აქვს

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	**MES1260000373915 30/03/2026**
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	**23,24 აპრილი 2026 წელი**

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგდსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი ცხამის შენობა-ნაგებობების რაოდენობა 1 (ერთი)
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი ცხამის შენობა-ნაგებობების რაოდენობა 1 (ერთი)

3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი ცხამის შენობა-ნაგებობების რაოდენობა 1 (ერთი)
4	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ,ადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი ეთო-ეხვევი შენობა-ნაგებობების რაოდენობა 1 (ერთი)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 30მარტის MES1260000373915-ბრძანების საფუძველზე, სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხამის საჯარო სკოლაში 2026 წლის 23 და 24 აპრილს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასება და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალები. რამდენჯერმე განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას. მასალების შესწავლის შემდეგ ექსპერტებმა გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია. ბრძანების შესაბამისად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს ადგილზე ვიზიტით, ჯგუფის სხვა წევრებმა კი დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების (Google Meet) გამოყენებით. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში. ადგილზე ვიზიტის დროს შესწავლილ იქნა სკოლის ინფრასტრუქტურა მათ შორის კომპიუტერული კლასი , სპორტული ინფრასტრუქტურა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები, სკოლის ინკლუზიური გარემო, სკოლის პერსონალის პირადი საქმეები. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ადგილზე ვიზიტი განხორციელდა და დათვალიერდა ასევე ცხამის საჯარო სკოლასთან შერწყმული სოფელ ეთო-ეხვევის, რეაბილიტირებული სკოლის შენობის ინფრასტრუქტურა. შენობაში ფუნქციონირებს დაწყებითი სკოლის ერთი კლასი. ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება: დირექციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან. საგნობრივი ექსპერტები გაესაუბრნენ შესაბამისი კათედრის წარმომადგენლებს. გასაუბრების პროცესში, საგნობრივი ექსპერტების მიერ დაისვა კითხვები კურიკულუმის შემუშავების და დანერგვის პროცესებთან მიმართებით. დაწყებითი საფეხურის ექსპერტი ჩართული იყო გასაუბრების პროცესში. ვიზიტის შემდეგ მონაწილეობდა დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების რევიზიის პროცესში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2	☒ შეესაბამება

პერსონალის განვითარება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: ---------- **250**	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** ☒	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***ხარვეზი***
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***ხარვეზი***
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***ხარვეზი***
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	***ხარვეზი***
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N ...		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N.3.1.2.4	***პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს***	***რეკომენდაცია:*** *სკოლამ პირველადი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (01.09.2026-15.09.2026) გამოაცხადოს ვაკანსია სკოლის დაწყებითი საფეხურის პედაგოგის თანამდებობაზე*
N 3.5.1.4.	***სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს***	***რეკომენდაცია:*** *სკოლას უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ვადებით გაწერილ ვადებში 05.06.2026-05.062028 -მდე პანდუსი/ლიფტის მოწყობა მეორე სართულზე მოსახვედრად. შშმ პირთა თავისუფალი გადაადგილებისა და სასწავლო/სასკოლო აქტივობებში სრულად ჩართულობისათვის.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(დაწყებით საფეხურზე)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***რჩევა***
ინდიკატორი N 1.1.1.4	***სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ***	***რჩევა:*** *სკოლამ აქტიურად გამოიყენოს შემუშავებული კითხვარები, რათა რეგულარულად მიიღოს უკუკავშირი სასკოლო საზოგადოების წევრებისგან.*
1.2.1.1	**სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო**	**რჩევა:** სასურველია სკოლამ განსაზღვროს სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის კონკრეტული ფორმები და პროცედურები .

	გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს	
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N 3.1.2.2.	***სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა***	***რჩევა:*** *სასურველია სკოლამ პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში შეიმუშაოს ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის შეფასების კრიტერიუმები. აღნიშნული კრიტერიუმები უზრუნველყოფს, რომ ყველა თანამშრომელმა მიიღოს სისტემატური, სამართლიანი და გამჭვირვალე შეფასება, რაც ხელს შეუწყობს პერსონალის პროფესიულ განვითარებას, მიზანმიმართულ მხარდაჭერას და მთლიანად სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ეფექტურობას.*
3.1.2.6.	***სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი***	***რჩევა:*** *სასურველია სკოლამ განსაზღვროს, ფორმალიზებული და სტრუქტურირებული მექანიზმი, რომლის საფუძველზეც განახორციელებს წარმატებული გამოცდილების იდენტიფიცირებას, აღიარებას და გაზიარებას, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.*
3.2.1.2.	***პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად***	***რჩევა:*** *სასურველია სკოლამ პერსონალის განვითარება განახორციელოს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი"-ის(მუხლი 6), გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად.*
3.3.1.1.	***სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს***	***რჩევა:*** *სასურველია სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვროს ხარისხის მართვის (შიდა შეფასების) ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება შიდა შეფასების სისტემური განხორციელებასა და საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის მართვაზე.*

3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	**რჩევა:** სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.
3.4.1.5.	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას	**რჩევა:** სასურველია კოკრეტულად გაიწეროს თითოეულ სკოლაზე სანიტარულ -ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი , გამომდინარე შენობების ტერიტორიული მდებარეობისა
N 3.6.3.1.	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით	**რჩევა.** სასურველია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესში დააკონკრეტოს სასკოლო საზოგადოებიდან მიღებულ უკუკავშირზე რეაგირების პროცედურები.
N 3.6.3.3.	საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**რჩევა:** სასურველია დააზუსტოს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებული უკუკავშირის პროცედურები, რათა პროცესი უფრო სისტემური გახადოს .
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა

ინდიკატორი N 4.2.1.6.	***მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას***	***რჩევა:*** *სასურველია სკოლამ შეიმუშავოს/გაწეროს პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის გამოყენებას მოსწავლეთა მომსახურების მუდმივი გაუმჯობესებისთვის.*
N 4.2.2.2.	***სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით***	***რჩევა:*** *სკოლამ სასურველია მოახდინოს არსებული პრაქტიკის ფორმალიზება და მოსწავლეთა კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების მართვა გაწეროს კონკრეტულ მექანიზმებად, მათ შორის განსაზღვროს ინფორმაციის მიწოდების ფორმები, პერიოდულობა, პასუხისმგებელი პირები და განხორციელებული საქმიანობის დოკუმენტირების წესი, რაც უზრუნველყოფს პროცესის სისტემურობასა და მტკიცებულებებით დადასტურებას.*
N4.2.2.3.	***სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს***	***რჩევა:*** *სასურველია სკოლამ დროულად მოახდინოს მომსახურების შეფასების შედეგების დაგეგმვა, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების პროცესში*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი*	*რჩევა*
ინდიკატორი N. 2.1.2.1.	***შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*** **საბუნებისმეტყველო**	***რჩევა:*** *სასურველია კათედრაზე შეთანხმებულ იქნას სწავლების სამივე საფეხურზე საგნობრივი ჯგუფის სამივე საგნის (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და შემუშავებული იყოს საერთო კურიკულუმის ჩარჩო, თითოეულმა მასწავლებელმა ამის მიხედვით შეადგინოს საგნობრივი კურიკულუმი, ასევე მოხდეს ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე უკვე არსებული კურიკულუმების გადახედვა/გადასინჯვა*
2.1.2.1	***შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას***	***რჩევა:*** *სასურველია კურიკულუმის შემუშავების შემდეგ მოხდეს კათედრაზე გადახედვა რევიზია სამივე საფეხურის კურიკულუმის*

	მათემატიკა	
2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას* *დაწყებითი საფეხური*	***რჩევა :*** *სასურველია, კურიკულუმები ისე იყოს დაგეგმილი, რომ გათვალისწინებული იყოს კლას-კომპლექტებში (2-4 და 1-3 კლასები) სწავლების თავისებურებები, როგორიცაა თემების შესაბამისობა, რესურსების თანხვედრა და ა. შ.*
2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს* **საბუნებისმეტყველო**	***რჩევა:*** *სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმებში გაწერილ იქნას სასკოლო პროექტით გათვალისწინებული სამიზნე ცნებების შესაბამისი აქტივობებიც.*
2.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს** *უცხოური ენა*	***რჩევა :*** *კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში სასურველია კათედრამ იხელმძღვანელოს რევიზირებული საგნობრივი სტანდარტით, რათა განახლებული გრძელვადიანი სამიზნე ცნებები კოორდინირებულად იქნეს აღქმული*
2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას* *საბუნებისმეტყველო*	***რჩევა:*** *საბაზო და საშუალო საფეხურისთვის სასურველია, ლაბორატორიაში სამეცნიერო აქტივობების განხორციელებისას მასწავლებლებმა აწარმოონ შესაბამისი დოკუმენტაცია. (გეგმა, ოქმი, ანგარიში, შეფასება/თვითშეფასება)*
2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ*	***რჩევა :*** *სამივე საფეხურისთვის მიზანშეწონილია, საგნობრივ კურიკულუმებში ტექსტები/კონტექსტ მაგალითები ცალკე გამოიყოს.*

	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას *სახელმწიფო ენა*	
2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას* *დაწყებითი საფეხური*	***რჩევა:*** *სასურველია, დაწყებით საფეხურზე რესურსები გამრავალფეროვნდეს, ელ. რესურსის გამოყენებისას მიეთითოს კონკრეტული ბმულები. შესაძლოა, შესაბამისი ვალიდაციის შემდეგ, გამოყენებული იქნას მასწავლებლის ან მოსწავლეების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები.*
2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს* *სახელმწიფო ენა*	***რჩევა (სამივე საფეხურისთვის):*** *მიზანშეწონილია, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები გადაიხედოს _ ვთქვათ, რამდენად ლოგიკურია, ნაშრომის სტრუქტურა სამი სხვადასხვა კრიტერიუმით შეფასდეს ან თითოეულ კრიტერიუმს თანაბარი ქულა მიენიჭოს.*
2.2.1.1	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად* *დაწყებითი საფეხური*	***რჩევა:*** *სკოლას მივეცი რჩევა სასწავლო წლის დასასრულს დაწყებით საფეხურზე განახორციელონ კურიკულუმების რევიზია და შეიტანონ ცვლილებები საჭიროებისამებრ კოლეგებთან თანამშრომლობით. ასევე მომავალი სასწავლო წლისათვის დაგეგმონ კურიკულუმი კლას-კომპლექტებზე მორგებულად*
2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი* *დაწყებითი საფეხური*	***რჩევა:*** *სასურველია დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება (ყველა საგანი). შეიმუშაოს შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება სწავლების მიზნებსა და თემატურ შინაარსს.*

2.2.2.2	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას** **ესთეტიკური აღზრდა**	***რჩევა:*** *სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად იზრუნოს დამხმარე რესურსების განვითარებასა და გამოყენებაზე (მაგალითად: სამუშაო ფურცლები, პრეზენტაციები, ვიდეოები და სხვა), რაც მნიშვნელოვნად გაამრავალფეროვნებს და გააუმჯობესებს სასწავლო პროცესს სამივე საფეხურზე*
2.2.2.3	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით** **ესთეტიკური აღზრდა**	*რჩევა: საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია სკოლაში სამივე საფეხურისთვის მრავალფეროვანი რესურსების სისტემური შემოტანა.* *რჩევა: სასურველია, შეიქმნას სახელოსნოს ტიპის სივრცე ხელოვნების გაკვეთილებისთვის, სადაც მოსწავლეებს თავისუფლად ექნებათ წვდომა საღებავებსა და სხვა მასალებზე.* *მნიშვნელოვანია აქტივობების ჩატარება ღია სივრცეში — ბუნებაში და ღია ცის ქვეშ — რაც განსაკუთრებით ეფექტურია როგორც სახვითი, ისე მუსიკის საგნების სწავლებისთვის.* *მიზანშეწონილია, სკოლამ რეგულარულად შეიძინოს რეპროდუქციების ალბომები და სხვა ვიზუალური მასალები, რათა მოსწავლეებმა ხარისხიანი სურათები გამოიყენონ სასწავლო პროცესში.*
ინდიკატორი *N 2.2.2.3.*	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	*რჩევა: სასურველია სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენა, რომელთა მოსინჯვის ან დაკვრის საშუალება ექნებათ მოსწავლეებს. ამისთვის მიზანშეწონილია მცირე, განცალკევებული სივრცის გამოყოფა.* *რეკომენდირებულია , მოსწავლეები რეგულარულად იმყოფებოდნენ საგამოფენო სივრცეებში, თეატრებში, კონცერტებსა და მუზეუმებში. კარგი პრაქტიკაა, თუ სკოლას ექნება შესაძლებლობა დააფინანსოს მათგან ზოგიერთის ბილეთები.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნის პროექტში დაფიქსირებულ ხარვეზებთან დაკავშირებით, სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით, კერძოდ 3.1.2.4.; 3.4.1.1. და 3.5.1.4. ინდიკატორთან მიმართებით, გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები და ა.შ.

ხოლო 3.4.1.1. და 3.4.1.2.ინდიკატორებთან მიმართებით, წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით:

კონკრეტული ინდიკატორები (მესამე სტანდარტთან მიმართებით - 3.4.1.1. 3.4.1.2 რომლებიც დასკვნის პროექტში შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", შეფასდა როგორც „შეესაბამება", ინდიკატორი 3.1.2.4. შეფასდა „მეტწილ შესაბამისად", ხოლო ინდიკატორი 3.5.1.4 - შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება", ვინაიდან სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით, სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვა ვადა - არაუმეტეს 24 თვისა. ცვლილებები აისახა დასკვნაში. კერძოდ:

მე 3 სტანდარტი

ინდიკატორი N3.1.2.4.

სკოლამ პირველადი შესაბამისობის გეგმით წარმოადგინა არსებული ხარვეზის გამოსწორების ვადები , რის შედეგადაც ექსპერთა ჯგუფის მიერ გაცემულია

რეკომენდაცია: *სკოლამ პირველადი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (01.09.2026-15.09.2026) გამოაცხადოს ვაკანსია სკოლის დაწყებითი საფეხურის პედაგოგის თანამდებობაზე.*

ინდიკატორი 3.1.2.4. - შეფასდა როგორც „მეტწილ შეესაბამება", ვინაიდან სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით, სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვა ვადა - არაუმეტეს 12 თვისა

ინდიკატორი N3.4.1.1.

- *სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხამისა და ეთო -ეხვევის საჯარო სკოლას არ ქონდა უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;*

სკოლამ წარმოადგინა 2026 წლის 03.06- ის წერილი MES 5 26 01931503, რომლის მიხედვითაც ირკვევა , რომ სკოლას საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული აქვს 2022 წლის 12 ივლისს შესაბამის ორგანოსთან. წერილს თან ახლავს მტკიცებულება.

- *სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხამისა და ეთო ეხვევის საჯარო სკოლას, არ ქონდა მიწერილობა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;*

სკოლამ წარმოადგინა 2026 წლის 05.06-ის მიწერილობა MES 4 26 0000673375 , სასწავლო კორპუსის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დადგენისა და დასკვნის/რეკომენდაციების გაცემის მიზნით, ადგილზე მიავლინონ კვალიფიციური სპეციალისტებისაგან დაკომპლექტებული ჯგუფი.

- *სკოლას არ ქონდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ;*

სკოლამ წარმოადგინა 2026 წლის 12.03.-ს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა N001724626 რომლითაც სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხამისა და მასთან შერწყმული სოფელ ეთო ეხვევის დაწყებითი სკოლის შენობის მდგომარეობა ვიზუალური დათვალიერებით დამაკმაყოფილებელია და შემდგომი ექსპლუატაციისთვის საფრთხეს არ შეიცავს.

- *სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ეთო -ეხვევის საჯარო სკოლაში არ იყო დამონტაჟებული ვიდეო სამეთვალყურეო კამერები.*

ეთო -ეხვევის საჯარო სკოლაში დამონტაჟდა ვიდეო სამეთვალყურეო კამერები, რაც მტკიცდება წარმოდგენილი ფოტო მასალით

წარმოდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად ინდიკატორი N3.4.1.1.-ის შეფასება შეუსაბამოდან გადავიდა შესაბამისობაში.

ინდიკატორი N3.4.1.2.

ეთო- ეხვევის საჯარო სკოლას არ ქონდა პირველადი დახმარებისთვის საჭირო ინვენტარი და მედიკამენტები.

სკოლამ უზრუნველყო ეთო-ეხვევის საჯარო სკოლის პირველადი დახმარებისათვის საჭირო ინვენტარისა და მედიკამენტების შეძენა. მტკიცებულება წარმოდგენილი ფოტო მასალა.

წარმოდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად ინდიკატორი N3.4.1.2.-ის შეფასება შეუსაბამოდან გადავიდა შესაბამისობაში.

ინდიკატორი N3.5.1.4.

სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხამის

საჯარო სკოლას არ ქონდა პანდუსი /ლიფტი მეორე სართულზე მოსახვედრად. შეზღუდულია შშმ პირთა თავისუფალი გადაადგილება და სასწავლო/სასკოლო აქტივობებში სრულად ჩართულობის შესაძლებლობა.

ასევე სოფელ ეთო-ეხვევის საჯარო სკოლას არ ქონდა პანდუსი.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილია ცხამის საჯარო სკოლაში აღნიშნული საკითხის მოგვარების ვადები 05.06.2026-05.06.2028-მდე. ასევე შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობის 10 %.

ასევე სკოლამ წარმოადგინა ეთო- ეხვევის საჯარო სკოლის პანდუსით აღჭურვის დამადასტურებელი მტკიცებულებები, შესაბამისად სკოლა უზრუნველყოფს სწავლის ინკლუზიურ გარემოს.

წარმოდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად ინდიკატორი N3.5.1.4.-ის შეფასება შეუსაბამოდან გადავიდა ნაწილობრივ შესაბამისობაში

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმისა და მტკიცებულებების გაცნობის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. მისია ხაზს უსვამს განსხვავებული აზრისა და კულტურის აღიარებისა და პატივისცემის დანერგვით, პასუხისმგებელი და განვითარებაზე ორიენტირებული პიროვნების აღზრდას, გუნდური მუშაობისა და ღიაობის პრინციპებზე დაყრდნობით. სკოლის ხედვით კი სკოლა და მისი კურსდამთავრებულები 2032 წლისთვის იქნებიან კონკურენტუნარიანი, დამოუკიდებელი მოქალაქეები - სკოლა კი იქნება მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული დაწესებულება, სადაც მოსწავლეები შეძლებენ მაღალი დონის ცოდნის შეძენას და მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. რაც თანხვედრაშია ასევე ეროვნული მიზნების კონცეფციასთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა მისიისა და ხედვის საშუალებით განსაზღვრავს თავის როლს, როგორც უსაფრთხო, მხარდამჭერ და პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. კერძოდ, მისია წარმოაჩენს სკოლას, როგორც გარემოსა და საცხოვრებელ პირობებზე მორგებულ, კონკურენტუნარიანი ადამიანების აღზრდისათვის არსებულ სივრცეს. გუნდური მუშაობა და ღიაობა წარმოადგენს განვითარების ძირითად საფუძველს. სკოლის ხედვა - 2032 წლისთვის კონკურენტუნარიანი და დამოუკიდებელი მოქალაქეების აღზრდა - ხაზს უსვამს პიროვნების თვითრეალიზაციის, დამოუკიდებლობის, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებისა და თანამედროვე გარემოში დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უნარების განვითარებას. ამრიგად, მისია და ხედვა ერთობლივად უზრუნველყოფს ისეთი სასკოლო გარემოს ჩამოყალიბებას, რომელიც უსაფრთხო, ინკლუზიური, ღია და პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული და სრულად შეესაბამება სკოლის სოციო-კულტურულ დანიშნულებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის განმარტებით დირექტორის 2025 წლის 29.05 2/19 ბრძანებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, იმუშავა სკოლის მისიის ჩამოყალიბებაზე. სამუშაო ჯგუფმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ მათ მისიის შემუშავებამდე ჩაატარეს ინტერვიუები მოსწავლეებთან იმის დასადგენად, თუ როგორი სკოლა სურთ მათ. ზემოაღნიშნული ჯგუფის განმარტებით მათ ასევე ჩაატარეს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა სკოლის მისიასთან დაკავშირებით და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავეს მისიის საბოლოო ვერსია. მისიის შემუშავების პროცესის დადასტურების

მიზნით სკოლამ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება, პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი, გამოკითხვის კითხვარის ნიმუში და მტკიცებულება სკოლის სოციალური ქსელიდან. ამ მიზნით ჩატარდა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა, მისიის განხილვა პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოზე და ანალიზი. ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის დამადასტურებელი მტკიცებულება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაზე პასუხისმგებელმა სამუშაო ჯგუფმა ინტერვიუს დროს განმარტა, რომ მისიის წინასწარ შემუშავებული ვერსია, პროექტი, წარადგინეს როგორც პედაგოგიური გუნდის, ასევე მშობლების წინაშე საერთო კრების ფარგლებში, სკოლის მისიის გაზიარების მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა ამონარიდი სოციალური ქსელიდან.

რჩევა: სკოლამ აქტიურად გამოიყენოს შემუშავებული კითხვარები, რათა რეგულარულად მიიღოს უკუკავშირი სასკოლო საზოგადოების წევრებისგან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია და ხედვა საჯაროდაა ხელმისაწვდომი. ის განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე https://skolebi.emis.ge/schools/1046?schoolName

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხამის საჯარო სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლების მისია ხედვა და ღირებულება;
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული, სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის წესდება;
- 2025წლის 29.05 ბრძანება 2/19 სკოლის სტრატეგიული გეგმის შემუშავებისთვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სკოლის ვებ გვერდი: https://skolebi.emis.ge/schools/1046?schoolName

შეფასება:

0 გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

0 შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია (ბრძანება N2-20, 09.06.2025), რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას. მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია: სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპი, რომელიც უზრუნველყოფს თემისა და სასკოლო საზოგადოების საჭიროებების ინტეგრირებას სტრატეგიულ დაგეგმვაში, გუნდური მუშაობის პრინციპები, რაც იძლევა დაინტერესებული მხარეების უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას და უზრუნველყოფს მათ აქტიურ მონაწილეობას სკოლის განვითარების ხედვის ფორმირებაში, სასკოლო საზოგადოების მოსაზრებების ინტეგრირება, რაც ხელს უწყობს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამჭვირვალობას და ჩართულობას.

რჩევა: სასურველია სკოლამ განსაზღვროს სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის კონკრეტული ფორმები და პროცედურები . **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ 2025 წლის 04 სექტემბრის N3 სხდომაზე) არის შვიდწლიანი. სკოლის 7-წლიანი სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს ობიექტურ რეაგირებას SWOT ანალიზის შედეგად გამოვლენილ სუსტ მხარეებზე, რაც ადასტურებს გეგმის რეალობასა და საჭიროებებთან შესაბამისობას. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია სტრატეგიულ გეგმას განმარტავს როგორც გრძელვადიან დოკუმენტს, რომელიც აღწერს სკოლის განვითარების პრიორიტეტებსა და საქმიანობებს, მოიცავს გრძელვადიან ხედვებსა და სტრატეგიულ მიზნებს და გათვლილია 7 წელზე. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს და შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებსა და შესაბამის ამოცანებს. სტრატეგიული გეგმის მოქმედების ბოლო წელს სკოლა ახორციელებს სამიზნე ნიშნულების შესრულების დეტალურ ანალიზს, რაც განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების გეგმით. აღნიშნული ანალიზი წარმოადგენს საფუძველს ახალი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისთვის და

პრაქტიკულად ადასტურებს, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა ფუნქციონირებს ციკლურად, უზრუნველყოფილია მისი უწყვეტი შეფასება, კორექტირება და განვითარება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შედარებითი ანალიზით დადგინდა, რომ სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი, ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და ემსახურება სტრატეგიული მიზნების განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, აქტივობები (რომლებიც უზრუნველყოფს დასახული ამოცანების შესრულებას), აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობის განხორციელების პერიოდი, შესრულების ინდიკატორები და რესურსები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია (ბრძანება N2-20, 09.06.2025);
- სტრატეგიული განვითარების გეგმა (სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 04 სექტემბრის N 3 სხდომის ოქმი);
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა .

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, რომელიც განსაზღვრულია მუხლი 11-ით. მეთოდოლოგიის მიხედვით სტრატეგიული გეგმის გადახედვა ხდება ყოველწლიურად, მონიტორინგი - 3 წელიწადში, ხოლო შეფასება ბოლო წელს. ერთწლიანი გეგმის მონიტორინგი იწყება მისი ამოქმედებიდან 6 თვის შემდეგ და შეფასება ხდება სასწავლო წლის ბოლოს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, მონიტორინგის პროცესს ახორციელებს სამეურვეო საბჭო. მონიტორინგისთვის გამოიყენება ასევე

ანგარიშების წარდგენის მეთოდი. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს და აქტივობების/ღონისძიებების დამადასტურებელი მტკიცებულებებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ქონდა ჩატარებული აღნიშნული დოკუმენტის მონიტორინგი. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აქვთ მზაობა, თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებაზე. სამეურვეო საბჭოს სხდომაზე შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას მიენიჭება სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“ და საბოლოოდ, გაკეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

ინფორმაციის გაზიარების მექანიზმი რეგულირდება სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მუხლი 12-ით, შემუშავებულია ინფორმაციის გაზიარების სქემა. სკოლა იყენებს საინფორმაციო დაფებს სამოქმედო გეგმით გაწერილი შესრულებული აქტივობების შედეგების გამოსაქვეყნებლად. ასევე სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოყოფილია შესაბამისი ველი ანგარიშების გამოქვეყნებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლა აქტიურად იყენებს განვლილი წლების შედეგებს, შემდგომი განვითარების პროცესში. ამ პრაქტიკის დამადასტურებელი მაგალითია სკოლის მიერ წარმოდგენილი 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც SWOT ანალიზს დაეფუძნა და ისიც რომ სკოლამ, გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით. ძსტრატეგიული განვითარების გეგმა ადასტურებს, რომ იგი დაფუძვნებულია გამოვლენილ გამოწვევებზე/სუსტ მხარეებზე და აქცენტი კეთდება ოთხ ძირითად მიზანზე:

- განათლების ხარისხის ამაღლება
- უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფა
- მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

თითოეული მიზანი იყოფა ამოცანებად. აღნიშნული დაადასტურეს მასწავლებლებმაც გასაუბრების დროს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანალიზი;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურის სქემატური გამოსახულება, რომელიც ასახავს როგორც ვერტიკალურ, ისე ჰორიზონტალურ ურთიერთ დაქვემდებარებას. საშტატო განრიგი აზუსტებს თითოეულ პოზიციაზე დასაქმებულთა რაოდენობას და მოიცავს ყველა მოქმედ თანამდებობრივ პოზიციას, მათ შორის როგორც ადმინისტრაციულ, ისე პედაგოგიურ და დამხმარე პერსონალს. კერძოდ, საშტატო განრიგით გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობრივი პოზიციები: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, მასწავლებელი 18, დარაჯი 4, დამლაგებელი 2. საშტატო განრიგით განსაზღვრული პოზიციების ფუნქციები დეტალურად არის გაწერილი დოკუმენტში „სტრუქტურული ერთეულებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქცია მოვალეობები“, ასევე ინდივიდუალურად გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. დოკუმენტაციის ანალიზი ადასტურებს, რომ შრომითი ხელშეკრულებებითა და „სტრუქტურული ერთეულებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებ“-ის დოკუმენტით განსაზღვრული დასაქმებულთა ფუნქციები ერთმანეთთან შესაბამისობაშია. მრჩეველთა საბჭო საქმიანობას ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად. მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობა რეგულირდება მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებით. ამრიგად, სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობრივი პირების ფუნქციები მკაფიოდ, თანმიმდევრულად და სამართლებრივად სწორად არის განსაზღვრული. ფუნქციების გაწერა უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების სწორ გადანაწილებას და ორგანიზაციული მართვის გამჭვირვალობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი საშტატო განრიგით, სკოლის სტრუქტურის სქემატური გამოსახულებით, სკოლაში დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობებით და სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული, სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია მოვალეობების ანალიზით დგინდება, რომ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სრულად მოიცავს იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითად საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს უკავშირდება, ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, უზრუნველყოფს ორგანიზაციული მართვის ეფექტიანობას და პასუხისმგებლობების გამიჯვნას დასაქმებულთა შორის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025 წლის 09.10 ბრძანება N 2 -33 მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ;
- საშტატო განრიგი;
- ორგანიგრამა;
- დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ფუნქცია-მოვალეობების აღმწერი დოკუმენტი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შიდა ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე. პროცესების სტანდარტიზებულ და ერთგვაროვან მართვას უზრუნველყოფს სკოლის შინაგანაწესი და „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ 2025.09.09 სხდომა N6), რომლებიც განსაზღვრავს პერსონალის მართვის ძირითად პრინციპებს, პროცედურებსა და პასუხისმგებელ პირებს. სკოლის მართვას ახორციელებს სკოლის დირექტორი, რომელიც სკოლის მართვის პროცესის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ანაწილებს უფლებამოსილებებს დირექტორის მოადგილეს და კოლეგიური ორგანოებს შორის. კანონმდებლობის დაცვით სკოლაში შექმნილია სხვადასხვა კოლეგიური ორგანო, რომლებიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ საქმიანობას და მონაწილეობენ მართვის პროცესებში. შინაგანაწესით რეგულირდება სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაოს დაწყებისა და დასრულების დრო, დასვენების პერიოდები, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და მიცემის პროცედურები, შრომის პირობების დაცვის წესები, წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახეები და მათი გამოყენების წესი, მატერიალური პასუხისმგებლობა, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესი, სასწავლო

პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები. სკოლასთან გასაუბრებისა და სკოლის მიერ ჩატარებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის მიღება ხორციელდება კონკურსის გზით ვაკანსიის teacherjobs.ge-ზე გამოცხადებით. ვიზიტის პერიოდში სკოლაში არ ირიცხებოდა სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე. ამ ეტაპზე არ საჭიროებდა ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის დასაქმებას. დასაქმების საჭიროების შემთხვევაში კონკურსის გამოცხადებისას, სკოლას აქვს მზაობა იხელმძღვანელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესის მიხედვით, ხოლო მასწავლებლის კონკურსის გამოცხადებისას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით". ამრიგად, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადმინისტრაციის პრაქტიკის ანალიზი ადასტურებს, რომ სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი პროცედურებისა და სკოლის მიერ განსაზღვრული შიდა წესების დაცვით. მართვის პროცესები არის სტრუქტურირებული და დასაბუთებული შესაბამისი დოკუმენტებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის სისტემა მოიცავს როგორც პრევენციულ, ისე ინტერვენციულ მექანიზმებს. სკოლის დირექტორთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დასაქმებულის დროებითი არყოფნის შემთხვევაში მისი ფუნქციები გადანაწილდება სხვა თანამშრომელზე. მასწავლებლის არყოფნისას საათები ნაწილდება იმავე საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებლებზე, ხოლო გადანაწილების შეუძლებლობის შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს შემცვლელ მასწავლებელთან ხელშეკრულების გაფორმებას. აღნიშნული მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს ინტერვენციულ მართვის პოლიტიკას, დადასტურდა შესაბამისი ბრძანებებით. გარდა ამისა, სკოლის შინაგანაწესით მკაფიოდაა განსაზღვრული დასაქმებულთა შრომითი ურთიერთობის ძირითადი პირობები, რაც დასაქმებულთა მართვას უწყობს ხელს. პრევენციული მართვის მიზნით სკოლა ახდენს სსიპ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მართულ ტრენინგებთან დაკავშირებით მასწავლებელთა ინფორმირებას და დარეგისტრირების ხელშეწყობას, უზრუნველყოფს მასწავლებლების, ექთნის და სხვა თანამშრომელთა შერჩევას კანონმდებლობისა და საკუთრი რეგულაციების შესაბამისად, ხელს უწყობს უსაფრთხო და მხარდამჭერ სამუშაო გარემოს ორგანიზებას.

რჩევა: სასურველია სკოლამ პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში შეიმუშაოს ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის შეფასების კრიტერიუმები. აღნიშნული კრიტერიუმები უზრუნველყოფს, რომ ყველა თანამშრომელმა მიიღოს სისტემატური, სამართლიანი და გამჭვირვალე შეფასება, რაც ხელს შეუწყობს პერსონალის პროფესიულ განვითარებას, მიზანმიმართულ მხარდაჭერას და მთლიანად სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ეფექტურობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობის (ბრძანება ვაკანსიაზე, კომისიის შექმნაზე, შემოსული განაცხადების გადარჩევისა და გასაუბრების ოქმები) შედეგად დადასტურდა, რომ მასწავლებლის, ექთნის ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსები ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კონკრეტული ვაკანტური პოზიციისთვის წაყენებული საკონკურსო პირობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება სკოლის დირექტორის ბრძანებით და ქვეყნდება საჯაროდ teacherjobs.ge პლატფორმაზე. სკოლა აღნიშნული მოთხოვნების

განსაზღვრისას ხელმძღვანელობს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2022წლის 20.05 ბრძანება N61/ნ რომლითაც განხორციელდა ცვლილება, 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის-ში“, ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 16/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ შესაბამისი ნორმებით. აღნიშნული უზრუნველყოფს დაინტერესებული კანდიდატებისთვის თანაბარ შესაძლებლობებს და შერჩევის პროცესის ღიაობას. რაც შეეხება სკოლის სხვა პერსონალის შერჩევას, მათი შერჩევა შესაძლებელია როგორც კონკურსის წესით, ისე დირექტორის მიერ კანდიდატთან გასაუბრების გზით. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის მიერ შემუშავებული პერსონალის მართვის დოკუმენტში შრომითი ურთიერთობის გაფორმებამდე კანდიდატის მიერ სავალდებულოდ წარმოსადგენ დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, რომ წარმოსადგენია მხოლოდ „ცნობა ნასამართლობის შესახებ (მხოლოდ მასწავლებლებზე)“, თითოეული მასწავლებლის პირად საქმეში წარმოდგენილია ცნობა ნასამართლეობის შესახებ, ხოლო 2020 წლის ივნისის შემდეგ დასაქმებულ თანამშრომელთა შემთხვევაში დამატებით წარმოდგენილია ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობისა და აგრეთვე ცნობები უფლებების ჩამორთმევის შესახებ. აღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციასთან შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

პერსონალის დოკუმენტაციისა და EMIS-ის მონაცემების გადამოწმების შედეგად ირკვევა, რომ სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხამისა და ეთო-ეხვევის საჯარო სკოლაში მომუშავე პედაგოგთა კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია როგორც სკოლის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებთან, ისე მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან. კანდიდატების შერჩევა ხდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. აღნიშნული ანალიზი ადასტურებს, რომ სკოლაში დასაქმებულია 18 მასწავლებელი, 3 3 წამყვანი, 14 უფროსი მასწავლებელი და 1 უსტატუსო , მაძიებელი მასწავლებელი. სკოლას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქვს 2026 წლის სექტემბრამდე გამოაცხადოს ვაკანსია, არსებულ ვაკანტურ პოზიციაზე. სკოლის დირექტორს, კანონმდებლობის შესაბამისად, სამეურვეო საბჭოსგან, მოპოვებული აქვს „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად თანხმობა 2025-2026 სასწავლო წელს განახორციელოს პედაგოგიური საქმიანობა იმ სკოლაში, სადაც არის დირექტორი (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 10, 7 ნოემბერი, 2025 წელი), ასევე მისი საათობრივი დატვირთვა შეთანხმებულია საგანმანათლებლო რესურსცენტრთან. პედაგოგთა პირადი საქმეები მოწესრიგებულია, წარმოდგენილია კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო საბუთი. სკოლის ექთანს უდასტურდება სკოლის ექთნად მუშაობისთვის აუცილებელ პირობა. დასაქმებულთა პირად საქმეში წარმოდგენილია მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დოკუმენტაცია.

რეკომენდაცია: სკოლამ პირველადი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (01.09.2026-15.09.2026.)გამოაცხადოს ვაკანსია სკოლის დაწყებითი საფეხურის პედაგოგის თანამდებობაზე

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის მართვის სტრუქტურა მოიცავს სამეურვეო საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, მრჩეველთა საბჭოს, კათედრებს, პედსაბჭოს, დისციპლინურ კომიტეტს და სხვა დროებით კომისიებს, რომლებიც სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე იქმნება გარკვეული საქმიანობის შესასრულებლად. სამეურვეო საბჭო განიხილავს და ადგენს მის უფლებამოსილებაში შემავალ საკითხებს, პედაგოგიური საბჭო, კათედრები, საკონკურსო კომისიები, თანამშრომელთა ჩართულობას კიდევ უფრო აძლიერებს და ქმნის თანამშრომლობით გარემოს. როგორც ვიზიტის პერიოდში გამოვლინდა სკოლის ორგანიზაციული კულტურა გამოირჩევა თანამშრომლობის და გაზიარებული პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით. ეს კი თავის მხრივ ხელს უწყობს არა მხოლოდ ეფექტიან მართვას, არამედ განათლების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებასა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების რეალიზებას. დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ფარგლებში განხორციელებულია სასკოლო პროექტები : „ჯანსაღი ცხოვრების წესი,, და ,,,სამოქალაქო უსაფრთხოება". სკოლაში მოქმედებს „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი"კათედრებს შორის თანამშრომლობა, ერთობლივად დაგეგმილი გაკვეთილები, მრავალპროფილური რესურსების შექმნა/გამოყენება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში ცალკეულ შემთხვევებში ხორციელდება წარმატებული გამოცდილების აღიარება. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დასაქმებულთა წახალისების მექანიზმები, ხოლო პრაქტიკაში გამოიყენება მასწავლებელთა და სხვა თანამშრომელთა მადლობის გამოცხადება, როგორც მოტივაციისა და პოზიტიური პრაქტიკის აღიარების ფორმა. თუმცა, სკოლას არ გააჩნია ფორმალიზებული და სტრუქტურირებული მექანიზმი, რომლის საფუძველზეც წარმატებული გამოცდილების იდენტიფიცირება, აღიარება და გაზიარება განხორციელდება სისტემურად, გეგმაზომიერად და წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

რჩევა: სასურველია სკოლამ განსაზღვროს, ფორმალიზებული და სტრუქტურირებული მექანიზმი, რომლის საფუძველზეც განახორციელებს წარმატებული გამოცდილების იდენტიფიცირებას, აღიარებას და გაზიარებას, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი ;
- ბრძანებები ვაკანსიაზე, კომისიის შექმნაზე;
- შემოსული განაცხადების გადარჩევისა და გასაუბრების ოქმები;
- შინაგანაწესი;
- დასაქმებულთა პირადი საქმეები;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

0 გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

0 შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (2025 წლის 26.12 ბრძანება 2-55), რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო და მართვის პროცესების შეფასება განხორციელდება შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ შეფასების მეთოდებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის მრავალმხრივობასა და ობიექტურობას, მათ შორის გარე შეფასებაში სკოლას დაგეგმილია აქვს ავტორიზაციის გავლაც (მუხლი3). დოკუმენტში ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მიმართულებად განსაზღვრულია პერსონალის შერჩევისა და შეფასების ვალიდური და გამჭვირვალე კრიტერიუმების შემუშავება და დანერგვა. წარმოდგენილი პოლიტიკა მოიცავს ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების ვადებსა და ინდიკატორებს, რაც ქმნის შეფასების პროცესის სტრუქტურულ ჩარჩოს. ამასთან, დოკუმენტის მე-6 მუხლით რეგულირდება მასწავლებლების, ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების პერსონალის შეფასების ეტაპები, რაც მიუთითებს შეფასების პროცესის ეტაპობრივ და სისტემურ დაგეგმვაზე. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით სკოლა შეფასების შედეგებიდან გამომდინარე მიიღებს გადაწყვეტილებას დასაქმებულის წახალისებაზე ან განვითარების დაგეგმვაზე (მუხლი7). წარმოდგენილი შეფასების მექანიზმების არსებობა იძლევა შესაძლებლობას, გამოვლინდეს პერსონალის საქმიანობის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლამ წარმოადგინა „შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი“, რომელიც არეგულირებს პერსონალის განვითარების საჭიროებების გამოვლენისა და დადგენის მექანიზმებს. ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა პერსონალის განვითარების გეგმა, რომელიც ეფუძნება სისტემურად გამოვლენილ საჭიროებებს. სკოლის პრაქტიკა პერსონალის განვითარების მიმართულებით, როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, მოიცავს „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტს და გამოცდილების გაზიარების ცალკეულ ფორმებს, რომლებიც ხორციელდება არაგეგმიურად. ამრიგად, სკოლაში არ არის დანერგილი პერსონალის განვითარების საჭიროებებზე დაფუძნებული, წინასწარ დაგეგმილი და სისტემური პროცესი. არსებული პრაქტიკა ატარებს ფრაგმენტულ ხასიათს და არ არის დაკავშირებული ფორმალიზებულ შეფასებასა და განვითარების გეგმასთან.

რჩევა: სასურველია სკოლამ პერსონალის განვითარება განახორციელოს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი“-ის(მუხლი 6), გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლა ზრუნავს დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებაზე და სისტემატურად აწვდის თანამშრომლებს ინფორმაციას განათლების სისტემაში გამოცხადებული პროფესიული განვითარების ღონისძიებების შესახებ, რაც დასაქმებულებმა დაადასტურეს ინტერვიუს დროს. სკოლის პედაგოგები აქტიურად მონაწილეობენ მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატებითა და დამადასტურებელი დოკუმენტაციით. კათედრის წევრები ახორციელებენ ურთიერთდასწრებებსა და კოლეგიალურ უკუკავშირს, რაც ხელს უწყობს გამოცდილების გაზიარებასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ წამყვანმა და მენტორმა მასწავლებლებმა სკოლასთან თანამშრომლობით შეძლეს პროფესიული სტატუსის ამაღლება, კვლევის დაგეგმვა და ანგარიშების მომზადება, რაც მიუთითებს სკოლის მხრიდან მიზნობრივ მხარდაჭერაზე კარიერული წინსვლის პროცესში. გარდა პედაგოგიური პერსონალისა, სკოლის ხელშეწყობით განხორციელდა ადმინისტრაციული პერსონალის, კერძოდ, ბუღალტრის გადამზადებაც, რაც მიუთითებს პერსონალის განვითარების ხელშეწყობის ცალკეულ პრაქტიკაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია თუ როგორ ზრუნავს სკოლა ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე. სკოლა აქტიურად ზრუნავს თანამშრომელთა ეფექტურ ინტეგრაციაზე სამუშაო გარემოში. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტისა და მასწავლებელთა გასაუბრების შედეგების საფუძველზე უნდა ითქვას, რომ სკოლა თანამშრომლებს უზრუნველყოფს თანაბარი შესაძლებლობებითა და გამჭვირვალე პროცესებით. ახალდანიშნულ თანამშრომლებს ეძლევათ შესაძლებლობა სწრაფად და ეფექტურად ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში: მათ ეცნობებათ სკოლის ღირებულებები, მიზნები, შინაგანაწესი და პროფესიული ვალდებულებები, ასევე განემარტებათ შეფასების კრიტერიუმები და განვითარების პერსპექტივები. პროცესი ორგანიზებულია ისე, რომ ახალბედა კადრებმა სკოლის ბაზაზე მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება და გაიარონ შეფასება. თანამშრომელთა ადაპტაცია-ორიენტაციის სისტემა უზრუნველყოფს როგორც პროფესიულ, ისე სოციალურ ინტეგრაციას, რაც ზრდის მოტივაციას, აუმჯობესებს სამუშაო გარემოს და ამყარებს კოლეგიალურ ურთიერთობებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლის მიერ წარმოდგენილ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტებში არის აღწერილი თუ როგორ ახორციელებს სკოლა პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისებას, თანამშრომელთა მოტივირება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისაკენ. თანამშრომლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: მადლობის გამოცხადება, სიგელი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- პედაგოგთა ტრენინგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

შეფასება:

0 გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

0 შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი (ბრძანება № 2-55; 26 დეკემბერი 2025 წელი), რომლის საფუძველზეც სკოლაში ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და მოიცავს შემდეგ ასპექტებს: ხარისხის უზრუნველყოფა; ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები (დირექტორი, დირექტორის მოადგილე და კათედრის ხელმძღვანელები); სკოლაში სწავლა-სწავლებისა ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორები; ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. დოკუმენტის მიხედვით სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და შეფასების პროცედურის მიზანია მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც პირდაპირპროპორციულია სკოლის მისიის და საშუალებას იძლევა მიღწეული იქნას საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება მუშაობს აღნიშნული პრინციპით. სასკოლო პროცესების შეფასება მიმდინარეობს ციკლურ რეჟიმში და ეფუძნება შიდა ხარისხის მართვის მოდელს „დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე“. თუმცა სკოლამ ვიზიტის დროს ვერ შეძლო აღნიშნული საქმიანობის დოკუმენტურად წარმოდგენა, რის შედეგადაც მონიტორინგის პროცესის სისტემურობა, შედეგები და მათზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები არ არის მტკიცებადი.

რჩევა: სასურველია სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვროს ხარისხის მართვის (შიდა შეფასების) ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება შიდა შეფასების სისტემური განხორციელებასა და საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის მართვაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული და დოკუმენტურად აღწერილია ყველა ის პროცესი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიან წარმართვასთან. იდენტიფიცირებულია მმართველობითი პროცესები (სკოლის სტრატეგიული დაგეგმვა, ადამიანური და მატერიალური რესურსების მართვა), ძირითადი პროცესები (სასწავლო პროცესის ორგანიზება, სწავლების მეთოდოლოგია, შეფასების სისტემა, სასწავლო პროგრამების განხორციელება) და დამხმარე პროცესები (ადმინისტრაციული მომსახურება, ინფრასტრუქტურის მართვა, საინფორმაციო უზრუნველყოფა, უსაფრთხოების წესების დაცვა). სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შემდეგი დოკუმენტები: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, საქმისწარმოების წესი, სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი; თანამშრომლის მიღების წესი, მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი, სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სასკოლო საზოგადოებასთან, სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში დანერგილია საჩივრებისა და გადაწყვეტილებების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. განსაზღვრულია პროცედურები, რომლითაც თანამშრომლებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს შეუძლიათ სკოლაში მიღებული გადაწყვეტილებების გადახედვა ან საჩივრის წარდგენა. პროცესი მოიცავს საჩივრის მიღების, განხილვისა და მასზე რეაგირების კონკრეტულ ეტაპებს, ასევე ვადებსა და პასუხისმგებელ პირებს. თითოეულ მხარეს ეძლევა შესაძლებლობა, გამოხატოს საკუთარი პოზიცია და მიიღოს არგუმენტირებული პასუხი. თითოეული მოსწავლის მშობელთან/მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები. ვინაიდან სკოლას დეტალურად აქვს განსაზღვრული თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა, აღნიშნულიდან გამომდინარე

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თანაბარი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე; ასევე, სასკოლო დროს ან/და სკოლის ტერიტორიაზე, სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით, და სკოლის ყველა რესურსით. თანამშრომელთა და სკოლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მოსწავლის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც ამომწურავადაა გაწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. დასაქმებულთა დისციპლინურ გადაცდომებს იხილავს სკოლის დისციპლინური კომიტეტი. მოსწავლეთა დისციპლინურ გადაცდომებს იხილავს სკოლის დირექტორი ან დისციპლინური კომიტეტი. დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ

წარმომადგენლებთან აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობის მიზნით. თანამშრომელთა უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობა ხორციელდება ხელშეკრულების პირობების გაცნობით, სკოლის შინაგანაწესისა და თანამდებობრივი ინსტრუქციების გაცნობით ადმინისტრაციისა და დირექციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- დირექტორის ბრძანება 2-09 08.04.2021 წ მშობელთან ურთიერთობის დებულების (კომუნიკაციის სტრატეგია) დამტკიცების შესახებ;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- განცხადების და საჩივრის განხილვის წესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში იმართება მშობელთა კრებები, სადაც დამრიგებლები მშობლებს აწვდიან მნიშვნელოვან ინფორმაციას: სკოლის შინაგანაწესის მოთხოვნებს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმას, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებებს და წლის განმავლობაში დაგეგმილ აქტივობებს. გარდა ამისა, სასწავლო წლის განმავლობაში სისტემატურად ტარდება დამრიგებლისა და საგნის პედაგოგების შეხვედრები მშობლებთან, სადაც განიხილება მიმდინარე სასწავლო და საგანმანათლებლო საკითხები. სკოლის მიერ წარმოდგენილი მშობელთა კრების ოქმები ადასტურებს, რომ მშობლები და მოსწავლეები მუდმივად ინფორმირებულნი არიან დაგეგმილი ღონისძიებებისა და აქტივობების შესახებ. ასევე, მოსწავლეებთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს (faceebook - მშობლებთან და მოსწავლეებთან სპეციალური ფორმით შეთანხმებულია პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაციის გავრცელების დოკუმენტი), სადაც რეგულარულად ქვეყნდება განცხადებები, სიახლეები და სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ინფორმაციის მიწოდების მრავალ არხიანი სისტემა აძლევს სკოლას საშუალებას არა მხოლოდ დროულად მიაწოდოს ინფორმაცია სასკოლო საზოგადოებას, არამედ მიიღოს უკუკავშირიც. უკუკავშირის საფუძველზე სკოლა რეაგირებს შესაბამისად, რაც ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამჭვირვალობასა და საზოგადოების ჩართულობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში განსაზღვრულია პერსონალის უფლება - მოვალეობები, ასევე განსაზღვრულია თითოეული სტრუქტურული ერთეულის როლი საგანმანათლებლო პროცესში, აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია ასევე პედაგოგიური საბჭოს ფუნქციები, სამეურვეო საბჭოს ფუნქციები, დისციპლინური კომიტეტი, კათედრის ფუნქციები და მოვალეობები და ა.შ. დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში / მართვის კოლეგიურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სტრუქტურული ერთეულების ოქმები.

შეფასება:

0 გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

0 შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა

საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად სკოლის ბალანსზეა 19503კვ.მ მიწის ნაკვეთზე მდებარე ცხამის საჯარო სკოლის შენობა/ნაგებობა N1 -1057,22კვ.მ და 600კვ.მ მიწის ნაკვეთზე მდებარე სკოლის შენობა ნაგებობა N2-49კვ.მ (რომელიც მდებარეობს სოფელ ეთო-ეხვევში) ორივე შენობის ტერიტორია შემოსაზღვრულია და დაცულია. სკოლაში დასაქმებულთა და მოსწავლეთა ფიზიკურ დაცვასა და უსაფრთხოებას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი (მათ შორის მანდატურის

სამსახურის) ტრენინგ კურსი, რაც უზრუნველყოფს მის მიერ უსაფრთხოების მართვის პროცესის სათანადო და კვალიფიციურ განხორციელებას. სკოლას საშტატო ერთეულით განსაზღვრული ყავს 4 დარაჯი. ცხამის საჯარო სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეო სამეთვალყურეო კამერები, 2 გარე და 6 შიდა პერიმეტრზე. ეთო -ეხვევის საჯარო სკოლაში არ არის დამონტაჟებული ვიდეო სამეთვალყურეო კამერები. ორივე სკოლის სარეგისტრაციო ჟურნალში ტარდება სკოლის ტერიტორიაზე შესული სტუმრის მონაცემები, სკოლაში შემოსვლისა და გასვლის დროებისა და სტუმრის ხელმოწერით. სკოლის პედაგოგთა მორიგეობის, განრიგი გამოკრულია დერეფნებში. შემუშავებულია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი.

სკოლას აქვს დირექტორის 2022 წლის 05.07 .ბრძანებაN1/კ-05-ით დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. რომელიც შეთანხმებული არ არის უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან.

სკოლას არ აქვს სრულად მოწესრიგებული სახანძრო უსაფრთხოება.

სკოლას არ აქვს დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ. ვიზიტის პერიოდში სკოლას ქონდა მიწერილობა ლ.სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთან საინჟინრო ექსპერტული დასკვნის მოსაპოვებლად, შენობის მდგრადობის შესახებ.

რჩევა: სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

- სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხამისა და ეთო -ეხვევის საჯარო სკოლას, არ ქონდა უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხამისა და ეთო ეხვევის საჯარო სკოლას, არ ქონდა მიწერილობა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;
- სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხამისა და ეთო -ეხვევის საჯარო სკოლას არ ქონდა დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ;
- სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ეთო -ეხვევის საჯარო სკოლაში არ იყო დამონტაჟებული ვიდეო სამეთვალყურეო კამერები
- *სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხამისა და ეთო -ეხვევის საჯარო სკოლას არ ქონდა უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;*

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციით წარმოადგინა 2026 წლის 03.06- ის წერილი MES 5 26 01931503, რომლის მიხედვითაც ირკვევა , რომ სკოლას საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული აქვს 2022 წლის 12 ივლისს შესაბამის ორგანოსთან.წერილს თან ახლავს მტკიცებულება.

- ***სკოლამ წარმოადგინა 2026 წლის 05.06-ის მიწერილობა MES 4 26 0000673375 , სასწავლო კორპუსის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დადგენისა და დასკვნის/რეკომენდაციების გაცემის მიზნით, ადგილზე მიავლინონ კვალიფიციური სპეციალისტებისაგან დაკომპლექტებული ჯგუფი.***
- ***სკოლამ წარმოადგინა 2026 წლის 12.03.-ს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა N001724626 რომლითაც სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხამისა და მასთან შერწყმული სოფელ ეთო ეხვევის დაწყებითი სკოლის შენობის მდგომარეობა ვიზუალური დათვალიერებით დამაკმაყოფილებელია და შემდგომი ექსპლუატაციისთვის საფრთხეს არ შეიცავს.***

- ***სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ეთო -ეხვევის საჯარო სკოლაში არ იყო დამონტაჟებული ვიდეო სამეთვალყურეო კამერები.***

ეთო -ეხვევის საჯარო სკოლაში დამონტაჟდა ვიდეო სამეთვალყურეო კამერები, რაც მტკიცდება წარმოდგენილი ფოტო მასალით

წარმოდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად ინდიკატორი N3.4.1.1.-ის შეფასება შეუსაბამოდან გადავიდა შესაბამისობაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სასწავლო დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარებისთვის საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტებით. სამედიცინო სივრცე უზრუნველყოფს მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირველადი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფას. შესწავლილ იქნა სკოლის ექთნის სამუშაო გეგმა და ჩატარებული მუშაობის ანგარიშები, წარმოებული დოკუმენტაცია. სამედიცინო ოთახის აღჭურვილობა შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სრულად არის აღჭურვილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. მონიტორინგის პროცესში დადასტურდა, რომ სკოლაში ექთანი მუშაობს მუდმივი რეჟიმით და ასრულებს ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ფუნქციებს ცხამის საჯარო სკოლაში.

ეთო- ეხვევის საჯარო სკოლა არ იყო აღიჭურვილი პირველადი დახმარებისთვის საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტებით.

სკოლამ უზრუნველყო ეთო-ეხვევის საჯარო სკოლის პირველადი დახმარებისათვის საჭირო ინვენტარისა და მედიკამენტების შეძენა. მტკიცებულება წარმოდგენილი ფოტო მასალა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლაში, უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა არსებული სამართლებრივი რეგულაციების, პრაქტიკული მექანიზმებისა და ადამიანური რესურსების მეშვეობით. კერძოდ, სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად, რაც განსაზღვრავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სტანდარტებსა და სკოლაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პრინციპებს. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შექმნილია მრჩეველთა საბჭო. მრჩეველთა საბჭო განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და წარუდგენს სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლა თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ქმნის გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სივრცის არსებობას. სკოლის მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა აქტიურად მართავს საინფორმაციო შეხვედრებს და ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს, რომელთა მიზანია ძალადობის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ცნობიერების ამაღლება. გარდა ამისა, სკოლის სამოქალაქო განათლებისა და ტექნოლოგიების მასწავლებელი საკუთარ კომპეტენციის ფარგლებში მოსწავლეებთან ატარებენ საინფორმაციო

შეხვედრებს (კონფლიქტების მართვა, კიბერბულინგი). სკოლაში ხორციელდება პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავს სასწავლო პროცესში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კულტურის გაძლიერებას. მოსწავლეებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ისინი სკოლაში თავს დაცულად გრძნობენ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლის დირექტორის 2025 წლის 29.12 ბრძანება N2-61-ით განსაზღვრულია ორივე სკოლაში სანიტარულ- ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელი პირები და ასევე დამტკიცებულია სანიტარულ- ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი. მასში აღწერილი პროცედურები მოიცავს ყოველდღიურ, ყოველკვირეულ, ყოველთვიურ და გენერალურ დასუფთავებას. მოთხოვნები მკაფიოდ განსაზღვრავს სამუშაოების პერიოდულობას, მოცულობასა და კონკრეტულ ობიექტებს. დათვალიერებით და ასევე სასკოლო საზოგადოების წევრებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ დასუფთავების პროცესი რეგულარულად ხორციელდება. სკოლაში სანიტარული კვანძები გამიჯნულია ცალკე გოგონების და ცალკე ვაჟებისათვის, პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით. ასევე სკოლას აქვს შეძენილი გენერატორი რომელიც გამოიყენება ფორსმაჟორული სიტუაციების დროს, რათა სკოლამ შეძლოს მინიმალური ფუნქციონირების შენარჩუნება.

რჩევა: სასურველია კოკრეტულად გაიწეროს თითოეულ სკოლაზე სანიტარულ -ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი , გამომდინარე შენობების ტერიტორიული მდებარეობისა

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი რომელიც რეგისტრირებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე https://pdps.ge/ ზე. სკოლის მხრიდან მუშავდება განსაკუთრებული კატეგორიის (ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის შესახებ ინფორმაცია, უფლების ჩამორთმევის შესახებ ინფორმაცია და სხვ.) მონაცემები. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“ , რომელიც არეგულირებს სკოლაში არსებული პერსონალური მონაცემების დამუშავების, შენახვისა და დაცვის საკითხებს. სკოლას, დასაქმებულებისგან და მშობლებისგან პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე თანხმობა ჩაშენებული აქვს ხელშეკრულებებში, თუმცა რიგ შემთხვევაში მოპოვებულია ინდივიდუალური თანხმობები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვას. როგორც გასაუბრებების შედეგად დადგინდა, პირადი მონაცემების დაცვისთვის სკოლას ეხმარება პერსონალისა და მასწავლებელთა მონაცემების დაცვის სისტემები. სკოლაში დაინსტალირებული ანტივირუსული პროგრამები ლიცენზირებულია. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლის დოკუმენტაცია მატერიალური სახით აბარია საქმისმწარმოებელს. რომლის ფუნქციაშიც შედის სკოლის არქივის წარმოება. არქივის დაცვაზე პასუხისმგებელ პირად, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სკოლის ბიბლიოთეკარი. სკოლის არქივი დაცულია უნებართვო წვდომისგან, ჩაკეტილია კარადებში და არქივისთვის გამოყოფილ ოთახში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს მრჩეველთა საბჭო (ბრძანებაში პერიოდულად შედის ცვლილებები მისი შემადგენლობის ცვლილებებიდან გამომდინარე. მრჩეველთა საბჭო განიხილავს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში აძლევს სკოლას რეკომენდაციებს. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციონირება დასტურდება ოქმებით.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი N2 2025 წ 26.12.;
- 2025წ 26.12. ბრძანება N2-57 პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცების შესახებ;.
- სსიპ – საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხამის საჯარო სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- 2019 წ 12.02 ბრძანება N2-02საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელი პირის დამტკიცების შესახებ;
- სანიტარულ -ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი;
- სახანძრო ინვენტარი;
- ხელშეკრულება Nე-68/01 ლ. სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან 10.02 2026წ.;
- ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- საჯარო რეესტრის ამონაწერი ცხამის საჯარო სკოლა;
- საჯარო რეესტრის ამონაწერი ეთო-ეხვევის საჯარო სკოლა;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

0 გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

0 შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

წარმოდგენილი ამონაწერის მიხედვით საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი 35.10.59.028, დაN35.10.46.064 მომზადების თარიღი – 19.02.2026), სკოლის შენობა ნაგებობა N1 მდებარეობს საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფელ ცხამში, მისამართზე: ცხამი, მე-5 ქუჩა N8 შენობა ნაგებობა N2 ცხამი მე-10 ქუჩა N12. სკოლის სარგებლობაშია 19 503.00 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია სკოლის ძირითადი შენობა, დამხმარე შენობა-საქვაბე და კიდევ ერთი დამხმარე შენობა (არ ექვემდებარება დემონტაჟს), რომელიც ამ ეტაპზე დაკეტილია და სკოლა არ იყენებს და 600კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია სკოლის ძირითადი შენობა, დამხმარე შენობა-სველი წერტილი. ქონების მესაკუთრეა სახელმწიფო. სკოლის ძირითადი შენობა N1 ორსართულიანია და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას. შენობაში განთავსებულია სულ 11 საკლასო ოთახი, სამასწავლებლო, დიდი ზომის ოთახი, რომელსაც სკოლა იყენებს სხვადასხვა შეხვედრებისა და ღონისძიებების ჩასატარებლად, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი, რესურსოთახი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია გამწოვითა და ხელსაბანებით. ასევე ფუნქციონირებს კომპიუტერული ტექნოლოგიების კლასი და ადმინისტრაციული დანიშნულების ოთახები (დირექტორის, საქმისმწარმოებლისა და ბუღალტრის კაბინეტები). პირველ სართულზე მოწყობილია სანიტარული კვანძები: სველი წერტილი გოგონებისთვის და - ვაჟებისთვის, თითო სველი წერტილი პედაგოგებისთვის და ერთი ადაპტირებული სველი წერტილი, რაც უზრუნველყოფს შშმ პირისთვის ინკლუზიური გარემოს შექმნას. ყველა საკლასო ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით და აღჭურვილია სწავლებისათვის აუცილებელი ავეჯით: მოსწავლეთა ერთადგილიანი მერხებითა და სკამებით, მასწავლებლის სამუშაო მაგიდითა და სკამით, დაფებით. სამასწავლებლო ოთახი აღჭურვილია მაგიდებით, სკამებითა და კომპიუტერებით, რაც ხელს უწყობს პედაგოგების პროფესიულ თანამშრომლობასა და სამუშაო პროცესის ეფექტიან ორგანიზებას. სკოლის ეზო შემოღობილია და უზრუნველყოფილია სასკოლო სივრცის უსაფრთხოება. შენობა ნაგებობა N2 ერთსართულიანია და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას. შენობაში განთავსებულია სულ 2 საკლასო ოთახი, სველი წერტილი განთავსებულია სკოლის გარე პერიმეტრზე. (ვიზიტის პერიოდში, ეთო- ეხვევის საჯარო სკოლაში ირიცხებოდა 6 მოსწავლე) არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი შეესაბამება საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მოთხოვნებს, ავტორიზაციის ვადისა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან (მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები) ჩატარებული გასაუბრებებით დადასტურდა, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. სკოლის საერთო

სარგებლობის სივრცეები გამოიყენება არა მხოლოდ სასწავლო პროცესის ფარგლებში, არამედ კლასგარეშე და დამატებითი აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით. კერძოდ, სკოლა უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის, სპორტული დარბაზის, კომპიუტერული კლასისა და სხვა სასწავლო სივრცეების თანაბარ და ორგანიზებულ ხელმისაწვდომობას როგორც მოსწავლეების, ისე თანამშრომლებისთვის. აღნიშნული სივრცეებით სარგებლობა რეგულირდება მკაფიოდ განსაზღვრული წესებითა და განრიგით, რაც ზრდის რესურსების ხელმისაწდომობას. კომპიუტერული კლასით სარგებლობისთვის შემუშავებული განრიგის მიხედვით, სკოლის ციფრული რესურსი ხელმისაწვდომია როგორც დასაქმებულთათვის პროფესიული საქმიანობის განხორციელების მიზნით, ასევე მოსწავლეებისთვის სხვადასხვა საგანმანათლებლო და პროექტულ აქტივობებზე მუშაობისთვის. ინტერვიუებისა და გამოკითხვების შედეგად დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ინფორმირებულნი არიან არსებული წესებისა და პროცედურების შესახებ და პრაქტიკაში იცავენ მათ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია .

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

დოკუმენტაციის ანალიზისა და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლას გამოყოფილი აქვს ბიბლიოთეკისთვის განკუთვნილი სივრცე, შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (ბრძანება N2-06, 04.02.2026 წელი), რომელიც განსაზღვრავს საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის ნორმებს. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები განთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლა ფლობს საბიბლიოთეკო რესურსს და ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს პრაქტიკაში. წარმოებს საბიბლიოთეკო რესურსების აღრიცხვის როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული ვერსია. ყველა მოსწავლე სრულადაა უზრუნველყოფილი სასკოლო სახელმძღვანელოებით, რომელიც ყოველი წლის დასაწყისში მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია .

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის ინფრასტრუქტურა, სრულად ვერ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, კერძოდ: სკოლის შიდა სივრცეებში არ არის დამონტაჟებული პანდუსი ან/და ლიფტი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ყველა სართულზე შშმ პირის გადაადგილებას (ვიზიტის პერიოდში სკოლაში შშმ პირი არ ირიცხებოდა). ეტლით მოსარგებლე პირისათვის ხელმისაწვდომი არ არის მე-2 სართულის საკლასო ოთახები, კომპიუტერული ლაბორატორია. ყოველივე ამის გათვალისწინებით სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს.

სკოლას არ ქონდა პანდუსი /ლიფტი მეორე სართულზე მოსახვედრად. შეზღუდულია შშმ პირთა თავისუფალი გადაადგილება და სასწავლო/სასკოლო აქტივობებში სრულად ჩართულობის შესაძლებლობა.

-სოფელ ეთო -ეხვევის საჯაორ სკოლას არ აქვს პანდუსი.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილია ცხამის საჯარო სკოლაში აღნიშნული საკითხის მოგვარების ვადები 05.06.2026-05.06.2028-მდე. ასევე შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკოს დაგომის ალბათობის 10 %.

ასევე სკოლამ წარმოადგინა ეთო- ეხვევის საჯარო სკოლის პანდუსით აღჭურვის დამადასტურებელი მტკიცებულებები, შესაბამისად სკოლა უზრუნველყოფს სწავლის ინკლუზიურ გარემოს.

რეკომენდაცია: სკოლას უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ვადებით გაწერილ ვადებში 05.06.2026-05.062028 -მდე პანდუსი /ლიფტის მოწყობა მეორე სართულზე მოსახვედრად. შშმ პირთა თავისუფალი გადაადგილებისა და სასწავლო/სასკოლო აქტივობებში სრულად ჩართულობისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა (სკოლის შენობა, ეზო, სპორტული დარბაზი), ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან ერთად. სკოლის დერეფნებსა და საკლასო ოთახების კედლებზე გამოკრულია მოსწავლეთა ნამუშევრები, საკლასო/სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები და მოსწავლეების ხელით შექმნილი სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეთა რაოდენობა არც თუ ისე დიდია, აქტიურად მუშაობს რამდენიმე კლუბი. დაწესებულებაში იგეგმება და ხორციელდება მოსწავლეთა და პედაგოგთა მიერ შეთავაზებული არაერთი პროექტი და ღონისძიება. ეზოში და სკოლის შენობის შიგნით არის რეკრიაციული სივრცეები. იგეგმება ეზოს უფრო კეთილმოწყობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობა ნაგებობის სქემა;
- შენობა ნაგებობის სქემა (შერწყმული სკოლის)
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- საევაკუაციო გეგმა;
- ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ბიბლიოთეკის დებულება და ქცევის წესები.

შეფასება:

0 გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

0 შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტურად განხორციელებისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს. სკოლაში არსებული ყველა ტექნიკური საშუალება დაცულია პაროლებით და ვირუსებისგან დაცვის პროგრამებით. სკოლაში არის უსადენო ინტერნეტქსელი, რომლის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია პრინტერითა და სკანერის აპარატით. სკოლის კომპიუტერულ კლასში განთავსებულია 14 კომპიუტერი 14 ლეპტოპი 4 პერსონალური კომპიუტერი, 3 პროექტორი ,2 პრინტერი. ბიბლიოთეკაში - 2 ლეფტოპი, ადმინისტრაციის მფლობელობაშია -4. აღნიშნული დასტურდება საინვენტარო აღწერილობის აქტებით და ვიზუალური დათვალიერებით. ამრიგად სკოლას აქვს პროგრამულად გამართული ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესებისთვის საკმარისი რაოდენობის კომპიუტერები, რითაც უზრუნველყოფილია ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესების შეუფერხებლად წარმართვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

როგორც სკოლის დირექციასთან და კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია გამოიყენება საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გაკვეთილების ჩასატარებლად. იმ პერიოდში, როდესაც ლაბორატორიაში გაკვეთილები არ ტარდება, იქ განთავსებულ კომპიუტერებს თავისუფლად იყენებენ მასწავლებლები და მოსწავლეები სხვადასხვა პროექტებზე მუშაობისას. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიის ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და დასაქმებულებისათვის ზრდის სკოლის მიერ შემუშავებული კომპიუტერული კლასის გამოყენების გრაფიკი. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სკოლის პროექტორებს ღონისძიებებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების. მოსწავლეს შეუძლია ისარგებლოს კომპიუტერული ლაბორატორიით გაკვეთილების შემდეგ 17:00 საათამდე და წინასწარი შეთანხმებით შაბათ - კვირას. მასწავლებელს შეუძლია ისარგებლოს კომპიუტერული ლაბორატორიით გაკვეთილების შემდეგ 17:00 საათამდე და წინასწარი შეთანხმებით შაბათ - კვირას. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელია დირექტორის ბრძანებით დანიშნული პირი.

გარდა აღნიშნულისა, I-IV კლასის მოსწავლეები აღჭურვილები არიან პორტაბელური კომპიუტერებით, რომლებსაც აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. აღნიშნული პრაქტიკა დასტურდება საინვენტარო აღწერილობის აქტებით, ინტერვიუებით და ვიზუალური დათვალიერებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საინვენტარო აღწერილობების აქტი;
- ვიზუალური დათვალიერება;
- კომპიუტერული ლაბორატორიის ფოტო მასალა.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი (2024 წლის 22.05. ბრძანება 2-10), რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას და ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. მისი ფუნქციები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და ასევე. სკოლის არქივის წარმოებას. სკოლის არქივის შენახვაზე პასუხისმგებელი პირი განსაზღვრულია დირექტორის ბრძანებით. სკოლის დირექტორის ბრძანებები შედგენილია კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ, დირექტორის მიერ უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები გამოიცემა ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის - ბრძანების სახით, ბრძანებების ფორმა შეესაბამება ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტების შედგენის წესებს. სკოლის თანამშრომლები რეგულარულად აწვდიან შემოსულ და გასულ დოკუმენტებს კანცელარიას შესაბამისი რეგისტრაციისათვის. სკოლაში დადგენილია ერთიანი სახის ბლანკი - სატიტულო ფურცელი, რომლის გამოყენებითაც ხდება ბრძანებების, წერილების, ცნობების გაფორმება. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. სკოლას ასევე აქვს სარეგისტრაციო ჟურნალები. ჟურნალები დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ. სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას - eflow-ს;

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა იყენებს საქმისწარმოების/დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას eflow-ს (სადაც ხდება გამოცემული ბრძანებების განთავსება და ოფიციალური მიმოწერა) და სკოლის ელქტრონულ ფოსტას tskhami@mes.gov.ge და tskhamiskola@gmail.com. შიდა კომუნიკაციისათვის გამოყენებულია დახურული მესინჯერ ჯგუფები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტები გაეცნენ სკოლის პროფილს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე. სრულყოფილია ინფორმაცია მასწავლებლების შესახებაც და ატვირთულია შესაბამისი მტკიცებულებები. სკოლის მიერ შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა, ასევე ხელმისაწვდომია სკოლის პროფილზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა, განათლების სამინისტროსთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრთან და რესურსცენტრთან კომუნიკაციას ახდენს eflow-ს და სკოლის ოფიციალური ელ. ფოსტის გამოყენებით, ხოლო დანარჩენ ორგანიზაციებთან, როგორც საჯარო, ასევე კერძო სტრუქტურებთან, კომუნიკაცია ხორციელდება სკოლის ელექტრონული ფოსტით. სკოლა დროულად აწვდის ინფორმაციას, ანგარიშებს და უკუკავშირს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს. საკანონმდებლო ვადების დაცვით ამზადებს ანგარიშს ფინანსური და სასწავლო პროცესის შესახებ. ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, ყოველწლიურად აქვეყნებს კანონმდებლობით მოთხოვნილ ინფორმაციას საკანონმდებლო მაცნეში და აგზავნის შესაბამის წერილებს საქართველოს პარლამენტთან, პრეზიდენტთან და პრემიერმინისტრთან. სკოლა საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისად უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებას. ვადების დაცვით აგზავნის ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის დასკვნას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმის წარმოების წესი;
- Eschool -ის ის და Eflow .

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი (ბრძანება N2-63. 2025 წელი 29.12), რომელიც უფრო ორგანიზებულსა და მიზნობრივს ხდის სკოლის კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოებასთან. წესი აყალიბებს სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობის ზოგად პრინციპებს, შიდა და გარე კომუნიკაციის წესებს, უკუკავშირის შედეგების ანალიზისა და მასზე რეაგირების ზოგად მექანიზმს. სკოლის სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი მისამართზე: https://skolebi.emis.ge/, სკოლას ვებგვერდზე განთავსებული აქვს ინფორმაცია სკოლის შესახებ, აღნიშნულის გათვალისწინებით ვებგვერდი იძლევა საკომუნიკაციო საშუალების ფუნქციას. გარდა ამისა სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს, სადაც გახსნილი აქვს თავისი გვერდი. დამატებით საკომუნიკაციო საშუალებებად სკოლა ასევე იყენებს სატელეფონო კომუნიკაციას, მშობლებთან პირისპირ შეხვედრებს. მშობლებმა აღნიშნეს, რომ ინფორმაციას სკოლის შესახებ ძირითადად ღებულობენ სოციალური ქსელიდან. სკოლას განსაზღვრული ჰყავს ვებგვერდის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი.

რჩევა. სასურველია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესში დააკონკრეტოს სასკოლო საზოგადოებიდან მიღებულ უკუკავშირზე რეაგირების პროცედურები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო ინფორმაციის გავრცელებას. გავრცელებული ინფორმაციის სანდოობა დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი სკოლის დოკუმენტაციასა და გავრცელებულ ინფორმაციას შორის არსებული შესაბამისობით. სკოლას განსაზღვრული ჰყავს ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი (2025 წლის 14.05-ის ბრძანება 2-12). სკოლის კომპიუტერული ტექნოლოგიების პედაგოგი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად იყენებს მრავალფეროვან არხებს, მათ შორის მშობლებთან და მოსწავლეებთან შეხვედრებს და გამოკითხვებს. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სკოლა ახორციელებს შედეგების ანალიზს და მნიშვნელოვანი უკუკავშირის შემთხვევაში მას იყენებს განათლების ხარისხის გაუმჯობესების, სასწავლო გარემოს გაძლიერებისა და ადმინისტრაციული პროცესების დახვეწის პროცესში. ინტერვიუების დროს როგორც მშობლებმა, ისე მოსწავლეებმა დაადასტურეს, რომ სკოლა მათ ინტერესებს რეალურად ითვალისწინებს. მოსწავლეებმა აღნიშნეს თვითმმართველობის წარმომადგენლების როლი და მოიყვანეს მაგალითი, თუ როგორ თანამშრომლობენ ისინი სკოლის ადმინისტრაციასთან სხვა და სხვა ინიციატივების განხორციელების საკითხებში. მშობლებმა კი ხაზი გაუსვეს დამრიგებლებთან და დირექტორთან კომუნიკაციის შესაძლებლობას.

რჩევა: სასურველია დააზუსტოს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებული უკუკავშირის პროცედურები, რათა პროცესი უფრო სისტემური გახადოს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებგერდი პორტალზე skolebi.emis.ge. სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე და შესაბამისად ინფორმაცია ვებგვერდზე განთავსებულია ქართულ ენაზე .

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ მოკლე ანგარიშს, სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს და საკონტაქტო ინფორმაციას. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/1046?;
- 2025 წლის 14.05 ბრძანება 2-12, ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი.

შეფასება:

0 გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

0 შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლას აქვს კანონმდებლობის დაცვით დამტკიცებული ბიუჯეტი, ბიუჯეტის ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება (მაღალმთიანი რეგიონის). გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლას ურიცხავს ექთნის და მასწავლებელთა დანამატს. სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და ბიუჯეტის ანალიზი ადასტურებს, რომ დაწესებულების ფინანსები უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის შესრულებას. სკოლის ბიუჯეტი იმგვარადაა შედგენილი, რომ შესაძლებელია სკოლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება. სკოლის ფინანსური დაგეგმვის პროცესი მოიცავს წლიური სამოქმედო გეგმის, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის და წლიური ბიუჯეტის შედგენას. შესყიდვების წლიურ გეგმას სკოლა შეიმუშავებს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით ყოველი წლის 20 ნოემბრამდე, წლიურ ბიუჯეტს კი შეიმუშავებს ფინანსური წლის ბოლომდე. სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სკოლის დირექტორი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აბარებს ანგარიშს სამეურვეო საბჭოს ფინანსური საქმიანობის შესახებ..

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის დირექტორსა და ბუღალტერთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ფინანსური დაგეგმვისას ხდება წინა სასწავლო წლის ფინანსური ანალიზი და შემოსავლების პროგნოზირება. საჭიროების შემთხვევაში, ხდება ბიუჯეტის გადახედვა და მასში ცვლილებების შეტანა. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. წლის ბოლოს (10 დეკემბრამდე) დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსური სახსრები. სკოლა რესურსცენტრს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში წარუდგენს ფინანსურ ბალანსს, ტვირთავს ხელშეკრულებებს შესყიდვების ელექტრონულ გვერდზე www.procurement.gov.ge ზე, შესყიდვების გეგმას კი – ePLAN მოდულში. ატვირთულია rs.ge-ze

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი წლიური ანგარიშის წარდგენაზე;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე;
- სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა.

შეფასება:

0 გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

0 შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხამის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის შინაგანაწესი, რომელიც სამეურვეო საბჭომ N5 სხდომაზე დაამტკიცა 2025 წლის 8 სექტემბერს. დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი მოსწავლის კანონიერი უფლებები და ასევე დისციპლინარული გადაცდომის შემთხვევაში რის უფლება აქვთ. შინაგანაწესი არეგულირებს როგორც მოსწავლის უფლებებს ,ასევე მის მოვალეობებს და დისციპლინარული გადაცდომის შემთხვევაში გასატარებელ შესაძლო ღონისძიებებს.
სწავლის დაწყებისთანავე დამრიგებლები იწვევენ მშობელთა კრებებს და მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობენ მოსწავლის ქცევის კოდექსს, ასევე სკოლის შინაგანაწესს , რასაც მშობლები / კანონიერი წარმომადგენლები ხელმოწერით ადასტურებენ.
სკოლაში დაცულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მექანიზმები, რომლის მიხედვითაც სკოლა იცავს მის ხელთ არსებულ ყველა პერსონალურ მონაცემს , რაც დადასტურებულია სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულებით, რომლის მიხედვითაც მშობელი თანხმობას აცხადებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე.
სკოლაში, დერეფნებში, თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული სკოლის შინაგანაწესი და მოსწავლეთა ქცევის კოდექსი

ინდიკატორის მოთხოვნა დადასტურებულია

2.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

სკოლაში აღგილზე ვიზიტისას გაიმართა შეხვედრა მოსწავლეებთან, მშობლებთან , დამრიგებლებთან, სადაც დადასტურდა , რომ სკოლის შინაგანაწესი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. მის განხილვასა და შექმნაში მონაწილეობდნენ მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლები, პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს წევრები. თითოეული მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება ორ ეგზემპლიარად, ერთი რჩება სკოლაში, ხოლო მეორე გადაეცემა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს.

დაწყებითი საფეხურის მეოთხე კლასის დასრულების შემდეგ მშობელთა კრებაზე განიხილავენ მეორე უცხო ენის სწავლების საკითხს და შეთანხმებით ირჩევენ მეორე უცხო ენას. ხოლო საშუალო საფეხურის მოსწავლეები ეცნობიან ესგ-ით გათვალისწინებულ არჩევით საგნებს და საკუთარი სურვილით ირჩევენ საგანს

ინდიკატორის მოთხოვნა დადასტურებულია

3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია შესაბამისი მუხლები სკოლის შინაგანაწესიდან.. ხელშეკრულება გაფორმებულია 2 ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი შენახულია სკოლაში, ხოლო ერთი მიაქვს მშობელს. სკოლას ასევე ნებართვა აქვს მშობლებისგან , რათა სოციალურ ქსელში განათავსოს მოსწავლეთა საჯარო ექსკურსიებსა თუ ღონისძიებებზე გადაღებული ფოტო და ვიდეომასალა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- მშობელთა კრების ოქმი.
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სსიპ საჩხერის სოფელ ცხამის საჯარო სკოლას 2025 წლის 29 დეკემბერს N2-64 ბრძანებით დამტკიცებული აქვს სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეწყვეტისა და შეჩერების წესი. სკოლაში ეს გადაწყვეტილებები მიიღება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა შესაბამისი დოკუმენტაცია და eschool-ის ბაზა. სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რეგისტრაცია ხორციელდება წესისამებრ ელექტრონულად, საჯარო სკოლის ინდივიდუალური ადმინისტრაციული -სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლეთა რიცხოვნობის ფარგლებში, მართვის სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხამის საჯარო სკოლას 2025 წლის 29 დეკემბერს N2-64 ბრძანებით დამტკიცებული აქვს სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეწყვეტისა და შეჩერების წესი.. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით რეგულირდება სკოლაში ჩასარიცხ მოსწავლეთა რეგისტრაციის წესი, (როგორც პირველკლასელთა, ასევე მობილობის შემთხვევაში) პირობები, განსაზღვრულია მოსწავლეთა რიცხოვნება კლასში. მოცემულია წარმოსადგენ დოკუმენტთა ჩამონათვალი, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების წესი , სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვთა ფორმალურ განათლებაში ჩართვის წესი

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

მშობლებთან კომუნიკაციისა და მათი ინფორმირებისათვის სკოლა მრავალფეროვან მეთოდებს იყენებს, როგორიცაა : მშობლებთან პირისპირ შეხვედრები, სატელეფონო საუბრები, სოციალური ქსელების ჯგუფები, თიმსის პლათფორმა თუ ელექტრონული ჟურნალი. სკოლა ნებიმიერ დაინტერესებულ პირს ღიად აწოდებს ინფორმაციას სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, ,სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურების შესახებ. სკოლაში შემოსული სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი აქტივობების, კონკურსებისა თუ ინიციატივების შესახებ ინფორმაციებს საქმისმწარმოებელი აწვდის დამრიგებლებს , ხოლო ეს უკანასკნელი ინფორმაციის სხვადასხვა რესურსის გამოყენებით უზრუნველყოფენ მშობელთა და მოსწავლეთა ინფორმირებულობას. სკოლის ვებგვერდზეც არაერთი ინფორმაციაა განთავსებული და გეგმავენ , რომ უფრო მეტი ინფორმაცია განათავსონ ეტაპობრივად

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობებისა თუ რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე , განახლებული და არადისკრიმინაციული. ინფორმაცია ყოველივე ამის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით იკვრება საინფორმაციო სტენდზე, ზიარდება სოციალურ ჯგუფებში მოსწავლეებისთვის, მშობლებისა და მასწავლებლებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანება მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის , სტატუსის შეჩერების შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ;
- მოსწავლეთა პირველ კლასში ჩარიცხვის ბრძანება;
- შინაგნაწესი;

შეფასება:

0 გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

0 შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლის დირექტორის 2026 წლის 4 თებერვლის N 2- 08 ბრძანებით, გაწერილი და შემუშავებული /დამტკიცებულია სასწავლო გარემოსთან მოსწავლის ადაპტაციის წესი, მათ შორის სსსმ მოსწავლეების სკოლაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები , მიუხედავად იმისა , რომ ამ ეტაპზე სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე, სკოლა მზაობას გამოხატავს სრული ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად.გამოყოფილია რესურსოთახი და საჭიროების შემთხვევაში სწორედ ამ ოთახში განახორციელებენ სტატუსის მქონე მოსწავლესთან შესაფერის საქმიანობას

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხამის საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 4 თებერვლის N 2- 08 ბრძანებით, გაწერილი და შემუშავებული /დამტკიცებულია სასწავლო გარემოსთან მოსწავლის ადაპტაციის წესი, მათ შორის სსსმ მოსწავლეების (რომლებიც ამ ეტაპზე სკოლაში არ ირიცხებიან) სკოლაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები. სკოლის დირექციის ხელშეწყობით კლასის ხელმძღვანელები ცდილობენ პირველკლასელ მოსწავლეებს მიღებისთანავე დაეხმარონ სასკოლო გარემოს გაცნობაში, ისევე როგორც მობილობის წესით გადმოსულ მოსწავლეთა დამრიგებლები. ათვალიერებენ სკოლის შენობას და აცნობენ ყველა ფუნქციურ ადგილს, ბიბლიოთეკას კლას-კაბინეტებსა თუ სკოლის ეზოს, აცნობენ ასევე შინაგანაწესს და სკოლაში მოსწავლეთა ქცევის წესებს. რათა მოსწავლეებმა მარტივად შეძლონ სოციალიზაცია.სკოლა მოსწავლის მობილობით ჩარიცხვის შემდგომაც ახორციელებს არაერთ აქტივობას,რათა ისინი ადვილად შეეგუონ სასკოლო გარემოს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

მოსწავლეებთან და მშობლებთან შეხვედრისას გამოიკვეთა რომ სკოლა მუდმივად უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირებას მიმდინარე, სემესტრული თუ წლიური შეფასებებით როგორც ელექტრონული ჟურნალის გამოყენებით, ასევე სხვადასხვაგვარი კომუნიკაციით ტელეფონზე საუბრით თუ სოციალური ქსელების ჯგუფებით.. მშობლები უკავშირდებიან დამრიგებლებს ონლაინ საშუალებების გამოყენებით, ან პირისპირ ნახულობენ საჭიროებიდან გამომდინარე მათგან ღებულობენ ასევე ეფექტურ განმავითარებელ უკუკავშირს, რაც დადებითად აისახება მოსწავლეთა სწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას

კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით მოსწავლეები და მშობლები ადგილზე ვიზიტისას შეხვედრის დროს აღნიშნავდნენ , რომ სკოლა მოსწავლეებს უცხადებს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზაციასთან დაკავშირებით. ისინი აღნიშნავენ ,რომ ინფორმირებულნი არიან სემესტრული/წლიური ნიშნის ამაღლების შესაძლებლობის თაობაზე. ასევე 30 პროცენტი გაცდენის თავიდან აცილების მიზნით დამრიგებლები მუდმივად აღრიცხავენ მოსწავლეთა დასწრებას და საჭიროების შემთხვევაში უკავშირდებიან მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს აფრთხილებენ შესაძლო ექსტერნის შესახებ და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ წერილობითი განაცხადის შემთხვევაში სკოლა მზადაა უზრუნველყოს შესაბამისი ტიპის გამოცდის ჩატარება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლის დირექტორს 2026 წლის 4 თებერვლის N 2-09 ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა ინტერესის მხარდამჭერი წესი, რომლის მიხედვით დირექცია განსაკუთრებულ მხარდაჭერას უცხადებს თვითმმართველობის მიერ წარმოდგენილ ინიციატივებს, რაც დადასტურდა სკოლაში ვიზიტისას მშობლებთან და მოსწავლეებთან საუბრისას. აღინიშნა , რომ, წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები და მათ მიერ დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისას აქტიურად უჭერენ მხარს და ჩართულებიც არიან. სკოლაში ფუნქციონირებს მკითხველთა კლუბი, რომლის მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია იყო მოსაწესრიგებელი და მიეცათ რეკომენდაცია უახლოეს პერიოდში დოკუმენტურად მოაწესრიგონ ის, რაზეც ზეპირსიტყვიერად საუბრობდნენ მოსწავლეები

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხამის საჯარო სკოლაში ადგილზე ვიზიტისას მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა დაინტერესებულია მოსწავლეთა და მშობელთა (კანონიერ წარმომადგენელთა) მოსაზრებებით, სურვილებით, ინტერესებით, საჭიროებებით, რომელთაც გაითვალისწინებს სხვადასხვა მომსახურების გაწევისას, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს , რომ მათ ყოველთვის უსმენენ და სკოლაში სრულადაა გათვალისწინებული მათი ინტერესები, თუმცა დამადასტურებელი დოკუმენტები არ გააჩნიათ.

რჩევა: სასურველია სკოლამ შეიმუშავოს/გაწეროს პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის გამოყენებას მოსწავლეთა მომსახურების მუდმივი გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ინტერესების მხარდამჭერი წესი;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის

სკოლაში ვიზიტისას გაიმართა შეხვედრა დამრიგებლებთან და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლებთან , მათთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ დამრიგებლები ხშირად ესაუბრებიან მოსწავლეებს სხვადასხვა პროფესიების საჭიროებებზე და იმართება დისკუსიებიც. საუბრები იმართება ასევე უფროსკლასელთა მშობლებთან და დამრიგებლები მათაც აწვდიან ინფორმაციას კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის რა შესაძლებლობები არსებობს მათ რეგიონში, დამრიგებლებს წარმოდგენილ სადამრიგებლო პროგრამაში გაწერილი ჰქონდათ ამ მიმართულებით განხორციელებული და განსახორციელებელი აქტივობები. მოსწავლეებმა აღნიშნეს , რომ ისინი იმყოფებოდნენ მათსავე რეგიონში არსებულ პროფესიულ კოლეჯებში, სადაც ადგილზე გაეცნენ როგორ ხორციელდება ამათუ იმ პროფესიისთვის მოსწავლეთა მომზადება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სკოლაში ვიზიტისას გაიმართა შეხვედრა მშობლებთან, სადაც მათ აღნიშნეს, რომ სკოლა მუდმივად აწვდის განახლებულ და სანდო ინფორმაციას მოსწავლეების მიერ ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, როგორც პირისპირ შეხვედრებისას, ასევე სოციალური ქსელის საშუალებით, უფრო კონკრეტულად კი მათ იციან სად მოძებნონ პროფესიული სასწავლებლებისა თუ პროგრამების ჩამონათვალი , როგორ მონახონ რეგისტრაციის ვადები და შეარჩიონ სასურველი პროგრამები.

რჩევა: სკოლამ სასურველია მოახდინოს არსებული პრაქტიკის ფორმალიზება და მოსწავლეთა კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების მართვა გაწეროს კონკრეტულ მექანიზმებად, მათ შორის განსაზღვროს ინფორმაციის მიწოდების ფორმები, პერიოდულობა, პასუხისმგებელი პირები და განხორციელებული საქმიანობის დოკუმენტირების წესი, რაც უზრუნველყოფს პროცესის სისტემურობასა და მტკიცებულებებით დადასტურებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლამ ვიზიტის ფარგლებში ვერ დაადასტურა გაწეული მომსახურების შეფასების განხორციელების ფაქტი, შესაბამისად ვერ დადასტურდა სკოლის მიერ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების გათვალისწინება დაგეგმვის პროცესში.თუმცა გასაუბრებისას გამოიკვეთა მზაობა მისი სამომავლოდ გათვალისწინებაზე

რჩევა: სასურველია სკოლამ დროულად მოახდინოს მომსახურების შეფასების შედეგების დაგეგმვა, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან;
- შეხვედრა მოსწავლეებთან

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე, თუმცა სკოლას სამოქმედო გეგმაშიც და შინაგანაწესში გათვალისწინებული აქვს სსსმ მოსწავლის არსებობის შემთხვევაში სამუშაო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

ამ ეტაპზე ინდიკატორის შეფასება ვერ ხერხდება, ვინაიდან სკოლას არ ყავს სსსმ მოსწავლე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის სამოქმედო გეგმა.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. *აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი*

(არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლას დამატებითი არასავალდებულო ხასიათის ფასიანი მომსახურეობა არ გააჩნია, სკოლას არ აქვს გაცემული ფართი იჯარით სარგებლობაში. სკოლის მოსწავლეებს, რომელთა საცხოვრებელი სახლი სკოლიდან დაშორებულია 2 კილომეტრზე მეტი მანძილით ემსახურება მუნიციპალური ტრანსპორტი, მძღოლს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და მართვის მოწმობა, რომლის შემოწმებას ახორციელებს შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსცენტრი. მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხორციელდება 1 მიმართულებით. სკოლამ წარმოადგინა ტაბელის ფორმა, რომლითაც ყოველდღიურად აღირიცხება შესრულებული მარშრუტი. ფორმა ხელმოწერილია პასუხისმგებელი პირისა და სერვისის მიმწოდებლის მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლაში გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის ინტერესი, ყველა განხორციელებული აქტივობა ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას, კანონმდებლობის სრული დაცვით, სკოლის მოსწავლეებს, რომელთა საცხოვრებელი სახლი სკოლიდან დაშორებულია 2 კილომეტრზე მეტი მანძილით ემსახურება ტრანსპორტი, მძღოლს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და მართვის მოწმობა, რომლის შემოწმებას ახორციელებს შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსცენტრი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

ვიზიტის პერიოდში სკოლა არ ახორციელებდა ისეთ დამატებით საგანმანათლებლო ან/და სააღმზრდელო მომსახურებას, რომელიც არ საჭიროებს მარეგულირებლის თანხმობას. სკოლის მიერ ტრანსპორტირების მომსახურების გაწევის შესახებ ინფორმაცია კი აღწერილი და შეფასებულია 4.2.4.1 ინდიკატორში

ინდიკატორი ვერ ფასდება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მძღოლების დოკუმენტაცია და ტაბელები

შეფასება:

0 გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

0 შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

■■■■■■■■■ 2	■■■■■■■■■ ■■■■■■ ■■■■■■■■ (■■■■■■■■ ■■■■■■■■■■ ■■■■ ■■■■■■■■■■■ ■■ ■■■■■■■■■■■ ■■■■■■■■■■■)
■■■■■■■ ■■■■■■■■■■ (დაწყებითი საგანმანათლებლო პროგრამა)	☒ ■■■■■■■■■■■ ☐ ■■■■■■■■ ■■■■■■■■■■■ ☐ ■■■■■■■■■■ ■■■■■■■■■■ ☐ ■■ ■■■■■■■■■■■
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ ■■■■■■■■■■■ ☐ ■■■■■■■■ ■■■■■■■■■■■ ☐ ■■■■■■■■■■ ■■■■■■■■■■ ☐ ■■ ■■■■■■■■■■■
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ ■■■■■■■■■■■ ☐ ■■■■■■■■ ■■■■■■■■■■■ ☐ ■■■■■■■■■■ ■■■■■■■■■■ ☐ ■■ ■■■■■■■■■■■
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ ■■■■■■■■■■■ ☐ ■■■■■■■■ ■■■■■■■■■■■ ☐ ■■■■■■■■■■ ■■■■■■■■■■ ☐ ■■ ■■■■■■■■■■■
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ ■■■■■■■■■■■ ☐ ■■■■■■■■ ■■■■■■■■■■■ ☐ ■■■■■■■■■■ ■■■■■■■■■■■

	☐ ■■ ■■■■■■■■■■■■

■■■■■■■ ■■■■■■■■■■■ **(საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა)**	☒ ■■■■■■■■■■■ ☐ ■■■■■■■■■ ■■■■■■■■■■■■ ☐ ■■■■■■■■■■■ ■■■■■■■■■■■■ ☐ ■■ ■■■■■■■■■■■■
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ ■■■■■■■■■■■ ☐ ■■■■■■■■■ ■■■■■■■■■■■■ ☐ ■■■■■■■■■■■ ■■■■■■■■■■■■ ☐ ■■ ■■■■■■■■■■■■
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ ■■■■■■■■■■■ ☐ ■■■■■■■■■ ■■■■■■■■■■■■ ☐ ■■■■■■■■■■■ ■■■■■■■■■■■■ ☐ ■■ ■■■■■■■■■■■■
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ ■■■■■■■■■■■ ☐ ■■■■■■■■■ ■■■■■■■■■■■■ ☐ ■■■■■■■■■■■ ■■■■■■■■■■■■ ☐ ■■ ■■■■■■■■■■■■
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ ■■■■■■■■■■■ ☐ ■■■■■■■■■ ■■■■■■■■■■■■ ☐ ■■■■■■■■■■■ ■■■■■■■■■■■■ ☐ ■■ ■■■■■■■■■■■■

■■■■■■■ ■■■■■■■■■■■	☒ ■■■■■■■■■■■ ☐ ■■■■■■■■■ ■■■■■■■■■■■■

(საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა)	☐ ☒☒☒☒☒☒☒☒☒☒ ☒☒☒☒☒☒☒☒☒☒ ☐ ☒☒ ☒☒☒☒☒☒☒☒☒☒
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ ☒☒☒☒☒☒☒☒☒☒ ☐ ☒☒☒☒☒☒☒☒ ☒☒☒☒☒☒☒☒☒☒ ☐ ☒☒☒☒☒☒☒☒☒☒ ☒☒☒☒☒☒☒☒☒☒ ☐ ☒☒ ☒☒☒☒☒☒☒☒☒☒
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ ☒☒☒☒☒☒☒☒☒☒ ☐ ☒☒☒☒☒☒☒☒ ☒☒☒☒☒☒☒☒☒☒ ☐ ☒☒☒☒☒☒☒☒☒☒ ☒☒☒☒☒☒☒☒☒☒ ☐ ☒☒ ☒☒☒☒☒☒☒☒☒☒
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ ☒☒☒☒☒☒☒☒☒☒ ☐ ☒☒☒☒☒☒☒☒ ☒☒☒☒☒☒☒☒☒☒ ☐ ☒☒☒☒☒☒☒☒☒☒ ☒☒☒☒☒☒☒☒☒☒ ☐ ☒☒ ☒☒☒☒☒☒☒☒☒☒
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ ☒☒☒☒☒☒☒☒☒☒ ☐ ☒☒☒☒☒☒☒☒ ☒☒☒☒☒☒☒☒☒☒ ☐ ☒☒☒☒☒☒☒☒☒☒ ☒☒☒☒☒☒☒☒☒☒ ☐ ☒☒ ☒☒☒☒☒☒☒☒☒☒

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხამის საჯარო სკოლაში არსებობს შესაბამისი წესით დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლის შესაბამისად მასწავლებლები ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, აჯამებენ სწავლა-სწავლების პროცესს, გამოკვეთენ დადებით მხარეებს და განსაზღვრავენ საჭიროებებს და ასახავენ მომდევნო წლის კურიკულუმში. კურიკულუმების შემუშავება ხდება, მასწავლებელთა ჩართულობით, რადგან ისინი ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, რასაც ძირითადად ადგენენ დაკვირვებისა და ვერბალური კომუნიკაციის შედეგად, ასევე მშობელთა უკუკავშირით, რაც თითქმის ყოველდღიურად ხორციელდება. სკოლაში ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასკოლო კურიკულუმების შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და მატერიალური ბაზის გათვალისწინებთ. მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, რომ სამომომავლოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესებში გააგრძელებენ სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას. კათედრების მიერ საფეხურის ფარგლებში შემუშავებულია კურიკულუმები, სადაც წარმოდგენილი მეთოდოლოგიური ნაწილი ხელს შეუწყობს საგნობრივი სტანდარტის ფარგლებში საფეხურის შედეგებზე გასვლას. კურიკულუმის მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების შესაძლებლობების გათვალისწინებას.

2.1.1 (1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ,რომლის შემუშავება დაეფუძნა კათედრის წევრთა რეკომენდაციებს. მასში წარმოდგენილია მოსწავლისთვის საინტერესო თემები და გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებები, შედეგად, გათვალისწინებულია დიფერენცირებული სწავლების მიდგომებიც; კურიკულუმში ჩანს სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. სკოლაში ვიზიტისას გასაუბრებებზე აღინიშნა, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში სკოლა ითვალისწინებს წინარე წლების გამოცდილებას. წამოდგენილია კათედრის სხდომისა და მშობელთა კრებების ოქმები, რომლებიც ადასტურებს მშობელთა ინფორმირებას და ჩართულობას.

2.1.1 (2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს და ინტერვიუს მსვლელობის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა, გარდა ამისა კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და ერთობლივად გეგმავენ და არჩევენ სკოლაზე, მატერიალურ ბაზასა და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო აქტივობებს, სასწავლო პოცესისათვის საჭირო რესურსებს. ადგენენ შესასწავლ თემებსა და საკითხებს სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, იგეგმება კომპლექსური დავალებების იდეები და მათი განხორციელება, ასევე ერთობლივად მუშავდება შეფასებების ინსტრუმენტები. აღიშნულ პროცესში სკოლას აქტიურად ჰყავს ჩართული მშობლები და მოსწავლეები

2.1.1 (3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლას აქვს საგნობრივ კურიკულუმებზე მუშაობის გამოცდილება. კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს, ამასთანავე, მშობლების ჩართულობასა და სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას. შემუშავებული კურიკულუმის საბოლოო ვერსიის შეთახმება სასკოლო სასწავლო გეგმასთან ერთად ხდება სამეურვეო საბჭოსთან და წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს დასამტკიცებლად. ასევე, აღნიშნულია, რომ კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და უზიარებენ წარმატებულ გამოცდილებას, რასაც იყენებენ ახალი კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში და ინტერვიუს მსვლელობის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა, გარდა ამისა კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და ერთობლივად გეგმავენ სკოლაზე, მატერიალურ ბაზაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს და აქტივობებს, სასწავლო პოცესისათვის საჭირო რესურსებს. აღიშნულ პროცესში სკოლას აქტიურად ჰყავს ჩართული მშობლები, მოსწავლეები და დირექცია.

2.1.1 (4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
2.საგნობრივი კურიკულუმები
3.საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები
4.კათედრის თავმჯდომარეების ანგარიშები.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები სტანდარტის შესაბამისია, მოცემული დავალებები არის საინტერესო და მრავალფეროვანი; თუმცა არსებობს მცირედი განსხვავება სხვადასხვა კლასის კურიკულუმის ჩარჩოებს შორის, კერძოდ, ზოგიერთი კომპონენტი ყველგან არ გვხვდება. ასევე, შეინიშნება მცირედი უზუსტობები კურუკულუმის შევსებისას (მაგ. "თემის" სვეტში წერია "შემოქმედებითი პროდუქტის" დასახელება). რაც შეეხება საბაზო და საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები არის სრულყოფილი და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. **რჩევა:** სასურველია კათედრაზე შეთანხმებულ იქნას სწავლების სამივე საფეხურზე საგნობრივი ჯგუფის სამივე საგნის (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და შემუშავებული იყოს საერთო კურიკულუმის ჩარჩო, თითოეულმა მასწავლებელმა ამის მიხედვით შეადგინოს საგნობრივი კურიკულუმი, ასევე მოხდეს ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე უკვე არსებული კურიკულუმების გადახედვა/გადასინჯვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესებისა და ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე; პ წარმოდგენილი კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების ეფექტური მექანიზმია. **ინდიკატორი 2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარდით დადგენილ მოთხოვნებს**
უცხოური ენები	პირველი და მეორე უცხოური ენების კურიკულუმები დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. წარმოდგენილი თემები შეადგენს საფეხურის შესაბამის თემატური ბლოკით განსაზღვრულ შინაარსებს. თემატური ერთეულების ფარგლებში გამოკვეთილი სამიზნე ცნებები, ძირითადი ტექსტები, კონტექსტ-მაგალითები და დაგეგმილი დავალებები იძლევა მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებისა და თვითრეალიზების საშუალებას, რითაც მიიღწევა ეფექტური სწავლა და მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე, მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული პრინციპების შესაბამისად. სასწავლო თემები და საკითხები შერჩეულია მოსწავლეთა ცხოვრებისეული კონტექსტის გათვალისწინებით. თითოეული თემის მიზნები მჭიდრო კავშირშია შემოქმედებით დავალებებთან; კონტექსტ-მაგალითები მიზეზშედეგობრივ კავშირშია როგორც სასწავლო მიზნებთან, ასევე დავალებებთან. ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები აძლიერებს შემოქმედებითი დავალებების შესრულების თანმიმდევრულობას და ეფექტურობას.კურიკულუმი სრულად შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს — სამიზნე ცნებები ლოგიკურადაა გადანაწილებული თემების მიხედვით და ფარავს სასწავლო წლისა და საფეხურის სრულ მოცულობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	საგნობრივი კურიკულუმები შემოქმედებით-შემეცნებითი პროდუქტის შექმნას ითვალისწინებს. ამ ტიპის დავალებებზე თანმიმდევრული და მიზანმიმართული მუშაობა მოსწავლის აქტიურ ჩართვას გულისხმობს სასწავლო პროცესში, სადაც მოსწავლე თავად წარმართავს სწავლის პროცესს და აგებს ცოდნას. კონკრეტულ დავალებებზე მუშაობის პროცესის ამსახველი ნიმუშები, რომლებიც წარმოადგინეს, ითვალისწინებს საგანმანათლებლო პრინციპებს და მოსწავლის პიროვნულ განვითარებას ემსახურება. **ინდიკატორი 2.1.2.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

მათემატიკა	წარმოდგენილი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმი წარმოდგენილია მესამე თობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სადაც ჩანს თემა, სამიზნე ცნებები და საკითხები. ასევე ზოგიერთი თემის გასწვრივ მითითებულია კომპლექსური დავალების იდეა, რომელსაც სკოლა ანხორციელებს. კურიკულუმში ასევე მითითებულია ის რესურსები რომელიც კომპლექსურ დავალებაზე მუშობისას მიეწოდება მოსწავლეებს. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ თითოეული კომპლექსური დავალების განხორციელების განხორციელების შემდეგ შეაფასებენ განმავითრებელი კომენტარით. ასევე არის მცირე უზუსტობები წარმოდგენილ კურიკულუმებში ზოგიერთი თემა არ არის საკითხის შესაბამისი და სწორედ ინტერვიუს დროს პედაგოგებმა თვითონაც აღნიშნეს ამის შესახებ, ჩაასწორებენ და გაითვალისწინებენ კურიკულუმში. რჩევა: სასურველი კურიკულუმის შემუშავების შემდეგ მოხდეს კათედრაზე გადახედვა რევიზია კურიკულუმის **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმები, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. სამიზნე ცნებები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს აზუსტებს, გამოდინარეობს საგნობრივი სტანდარტის შედეგებიდან, რაც საფეხურის ბოლოს უნდა იქნეს მიღწეული. გაწერილი თემები, აქტივობები, საკითხები, ცნებები და ქვეცნებები მოსწავლეს საგნობრივ ცოდნას აძლევს თითოეული თემიდან გამომდინარე, ხოლო გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები მოსწავლის გააქტიურებას განაპირობებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ტექნოლოგიები	ყველა კლასის წარმოდგენილი კურიკულუმები ისეა დაგეგმილი, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და ემსახურება მათ განვითარებას; საკითხები დაჯგუფებულია თემების მიხედვით, თითოეული საკითხისთვის შერჩეულია რელევანტური ელექტრონული რესურსი, დასახულია გრძელვადიანი მიზნები, რომელთა მიღწევაც შუალედური მიზნებით-კომპლექსური დავალებებით ან პროექტებითაა შესაძლებელი. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო შინაარსის ლოგიკურ სტრუქტურირებას და ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ ცოდნის ეტაპობრივ, გააზრებულ და სისტემურ დაუფლებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მინდა განსაკუთრებულად აღვნიშნო, რომ დაწყებითი საფეხურის 1-4 კლასების ოთხივე საგნის (მე და საზოგადოება, ქართული, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება) კურიკულუმები არის სკოლისნმასწავლებლების მიერ შექმნილი. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, ასაკობრივი თავისებურებები. მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად სასწავლო წლის მანძილზე ხდება კურიკულუმების დანერგვა. ჩანს, რომ სწავლების პროცესში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სწორადაა მოქმედი ესგ-ს სტანდარტის შესაბამისად განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები შეესაბამება დასამუშავებელი თემის ფარგლებს. ყველა თემის შესწავლისას მუშავდება საგნისთვის განკუთვნილი ყველა სამიზნე ცნება გარკვეული მოცულობით. სკოლაში 2-4 და 1-3 კლას-კომპლექტებია შექმნილი. თუმცა, ასეთი დაგეგმვა კურიკულუმებით არაა განსაზღვრული. ასევე, ეროვნული სასწავლო გეგმის სტადარტის მიხედვით განსაზღვრული თემები სრულად არაა წარმოდგენილი და ამიტომ შესაბამისი საკითხები გადანაწილებულია წარმოდგენილ ოთხივე თემაში. ***რჩევა 2 :*** *სასურველია, კურიკულუმები ისე იყოს დაგეგმილი, რომ გათვალისწინებული იყოს კლას-კომპლექტებში (2-4 და 1-3 კლასები) სწავლების თავისებურებები, როგორიცაა თემების შესაბამისობა, რესურსების თანხვედრა და ა. შ.* **ინდიკატორი შეესაბამება.**

2.1.2 (1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლების სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, რაც ჩანს მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ფოტო-მასალიდანაც. **რჩევა:** სასურველია, თუ კურიკულუმებში გაწერილი იქნება სასკოლო პროექტით გათვალისწინებული სამიზნე ცნებების შესაბამისი აქტივობებიც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში მკაფიოდაა გაწერილი ძირითადი თემები, სამიზნე ცნებები და დასამუშავებელი საკითხები. დავალებები და აქტივობები კი იმგვარადაა შერჩეული, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის გააზრება საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარდით დადგენილ მოთხოვნებს**

უცხოური ენები	პირველი და მეორე უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით დგინდება, რომ განსაზღვრულია როგორც გრძელვადიანი, ასევე შუალედური მიზნები და შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებთან. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში სასურველია კათედრამ იხელმძღვანელოს რევიზირებული საგნობრივი სტანდარტით, რათა განახლებული გრძლევადიანი სამიზნე ცნებები კოორდინირებულად იქნეს აღქმული
სახელმწიფო ენა	საგნობრივ კურიკულუმებში შეთავაზებული დავალებები სხვადასხვა სამიზნე ცნებას ააქტიურებს, დავალების პირობა ითვალისწინებს მისაღწევ შედეგებს. წარმოდგენილი აქვთ საინტერესო და მრავალფეროვანი დავალებები, შემოქმედებით პროდუქტზე მუშაობა კი, ზოგადად, მოსწავლის კონკრეტული გამოცდილების, ინტერესების, ფსიქო-ემოციური მხარის გათვალისწინებას გულისხმობს და მოსწავლის განვითარებისკენაა მიმართული. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი იყო ახალი სტილით, მესამე თობის ეროვნული სასწავლო გეგმ შესაბამისად შექმნილი, სადაც გათვალისწინებულია ყველა თემა საკითხი სამიზნე ცნება და ა. კურიკულუმში თითოეული სამიზნე ცნების ქვევით მოცემულია ქვეცნებები და ცალკე საკითხები. აქედ გამომდინარე კურიკულუმი ნამდვილად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრუ გრძელვადიან მიზნებს. პედაგოგებთან ინტერვიუს დროსაც ჩანდა რომ მათ მეტ წილად გააზრებული აქვთ ი რა კავშირშია შემოქმედებითი დავალებები, სამიზნე ცნებები და კურიკულუმი ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწ მიზნებთნ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

სპორტი	სკოლის მხრიდან წარმოდგენილი კურიკულუმები სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს. გათვალისწინებული საგნობრივი პროგრამა იძლევა სამიზნე ცნებებამდე მისვლის საშუალებას. ხოლო თემები, აქტივობები, საკითხები, დავალებები და სხვა დამატებითი რესურსები მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას უწყობს ხელს, ორიენტირებულია მის პიროვნულ განვითარებაზე და ფუნქციური უნარების დახვეწას უწყობს ხელს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო თემების ფარგლებში მუშავდება ის სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ სტანდარტში. აღნიშნული სამიზნე ცნებები წარმოადგენს საგნის სწავლების მნიშვნელოვან კონცეპტუალურ საფუძველს და მათი დამუშავება უზრუნველყოფს იმ გრძელვადიან შედეგებზე გასვლას, რომლის მიღწევაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაწყებითი საფეხურის ბოლოს. კურიკულუმებში განსაზღვრული სასწავლო რესურსები და შუალედური მიზნის მისაღწევად დაგეგმილი აქტივობები ასევე შეესაბამება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან სასწავლო მიზნებს/ სამიზნე ცნებებს და ხელს უწყობს მათ ეფექტიანად მიღწევას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საგნობრივი კურიკულუმები შეესაბამება ესგ–ის მოქმედ საგნობრივ სტანდარტებს. კერძოდ გრძელვადიანი მიზნების (სამიზნე ცნებები) სიღრმისეული გააზრებისთვის განსაზღვრულია სავალდებულო თემების დამუშავება, შესაბამისი საკითხებით, შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალებებით, გამოსაყენებელი ძირითადი სასწავლო რესურსებით. აშკარად იკვეთება მზაობა სტანდარტის შედეგების მიღწევის. შედგენილი დავალებები საშუალებას იძლევა მოსწავლემ საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად ააგოს ახალი ცოდნა, გამოიმუშავოს საჭირო უნარ–ჩვევები. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2.1.2.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლების სამივე საფეხურზე კურიკულუმში გათვალისწინებული რესურსები არის მრავალფეროვანი, მიზნობრივი, მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობასა და ასაკობრივ ჯგუფზე გათვლილი. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია – საჭირო ინვენტარით აღჭურვილი, სადაც ცოდნის სამივე კატეგორიაზე გათვლილი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება სხვადასხვა ცდებით და ექსპერიმენტებით ხდება, მასწავლებლები იყენებენ ასევე ონლაინ და მატერიალურ რესურსებს, რომლებიც მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას უწყობს ხელს. **რჩევა:** სასურველია, ლაბორატორიაში სამეცნიერო აქტივობების განხორციელებისას მასწავლებლებმა აწარმოონ შესაბამისი დოკუმენტაცია. (გეგმა, ოქმი, ანგარიში, შეფასება/თვითშეფასება) **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე კურიკულუმით გათვალისწინებული მატერიალური და ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი მასალა: როგორც გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ისე ციფრული, ვიდეო და აუდიო რესურსები, რაც სასწავლო პროცესს უფრო საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარდით დადგენილ მოთხოვნებს**

უცხოური ენები	კურიკულუმში წარმოდგენილი ძირითადი სასწავლო რესურსი გრიფირებული სახელმძღვანელოებია. ამასთანავე კათედრას წამოდგენილი აქვს დამატებითი საგანმანათლებლო მასალები, რაც არსებით როლს ასრულებს სასწავლო მიზნების მიღწევაში. გათვალისწინებულია მრავალფეროვანი, ასაკისა და ენის დონის შესაბამისი რესურსები, ეს კი ეხმარება მოსწავლეს უნარების განვითარებასა და მოტივაციის შენარჩუნებაში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ეს რესურსები ხელმისაწვდომი და ვალიდირებულია სკოლის მიერ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული სახელმძღვანელოები, თუმცა მათ გარდა გამოიყენება მრავალი დამატებითი რესურსი, რაც საგანს მრავალფეროვანს და მოსწავლისთვის ხელმისაწვდომს ხდის. სკოლა ამოწმებს და ადასტურებს, რომ დამხმარე სასწავლო რესურსები შეესაბამება სასწავლო მიზნებს, სტანდარტებსა და პროგრამას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში წარმოდგენილია საინტერესო და მრავალფეროვანი სასწავლო მასალა, რომელმაც მოსწავლის ინტერესი უნდა აღძრას და ემოციური კმაყოფილება გამოიწვიოს. დავალებების შესასრულებლად წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც მიზანმიმართულადაა შერჩეული, მოსწავლეებს უნდა დაეხმაროს დასახული ამოცანების წარმატებით დაძლევაში. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა** (სამივე საფეხურისთვის): მიზანშეწონილია, საგნობრივ კურიკულუმებში ტექსტები/კონტექსტმაგალითები ცალკე გამოიყოს.

მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში, ძირითად რესურსად გამოყენებული სახელმძღვანელო და სხვადასხვა რესურსები ნამდვილად უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სახელმძღვანელოები რომლსაც იყენებენ სასწავლო პროცესში გრიფმინიჭებულია **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში და დოკუმენტებში ასახული საგანმანათლებლო რესურსები: სახელმძღვანელოები, პოსტერები, თვალსაჩინოებები, განხორციელებული სპორტული აქტივობები, ონლაინ რესურსები, ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ საგან კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის სასწავლო რესურსი, კერძოდ: · ტექნიკური და მატერიალური რესურსები: ინტერნეტი, კომპიუტერები, სმარტფონი, პროექტორი, სახატავი საშუალებები, ვიზუალური მასალა; · კომპიუტერული პროგრამები და ვებ-ინსტრუმენტები: Microsoft Office (Word, Excel, PowerPoint), Paint/Paint 3D, Microsoft Office 365 (OneDrive), scratch.mit.edu. · ელექტრონული სასწავლო რესურსები: school.emis.ge, youtube.com, ასევე მასწავლებლის მიერ შექმნილი ციფრული სასწავლო რესურსები. კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო რესურსები ემსახურება კონკრეტული თემის ფარგლებში განსაზღვრული სამიზნე ცნებების და საკითხების დამუშავებას. რესურსები თემების მიხედვით არის შერჩეული და ორგანიზებულია ისე, რომ თითოეული მათგანი მიმართულია შესაბამისი სასწავლო მიზნებისა და შედეგების მიღწევისკენ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; გარდა ძირითადი სასწავლო რესურსისა (გრიფირებული სახელმძღვანელოები), მასწავლებლები იყენებენ დამატებით საგანმანათლებლო რესურსებს: პლაკატებს, წიგნებს, ელექტრონულ რესურსებს, **რჩევა:** სასურველია, დაწყებით საფეხურზე რესურსები გამრავალფეროვნდეს, ელ. რესურსის გამოყენებისას მიეთითოს კონკრეტული ბმულები. შესაძლოა, შესაბამისი ვალიდაციის შემდეგ, გამოყენებული იქნას მასწავლებლის ან მოსწავლეების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2.1.2.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლების სამივე საფეხურზე, სასწავლო პროცესი არის მოსწავლეებზე ორიენტირებული, კურიკულუმები საშუალებას იძლევა მოსწავლემ საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში შეარჩიოს დავალების შესრულების ფორმა. შემუშავებულია სხვადასხვა ტიპის შემაჯამებელი დავალებები, არის მრავალფეროვანი განმავითარებელი შეფასების გამოყენების პრაქტიკა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება ინკლუზიური განათლების პრინციპებსა და დიფერენცირებულ მიდგომებს. მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებსა და სტრატეგიებს. ინკლუზიური გარემოს შექმნის მიზნით, პედაგოგები ახდენენ სასწავლო შინაარსისა და კომპლექსური დავალებების პირობების მოდიფიცირებას. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, თავად აირჩიონ შესასრულებელი დავალების ტიპი ან შემოქმედებითი პროდუქტის ფორმა. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარდით დადგენილ მოთხოვნებს**

უცხოური ენები	სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სასწავლო გეგმებში არის გათვალისწინებული სხვადასხვა დონეზე და უნარებზე მორგებული დავალებები, ინდივიდუალური მხარდაჭერა და ჯგუფური მუშაობის შესაძლებლობები. ეს ხელს უწყობს ყველა მოსწავლის ჩართულობას, მათ შორის სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების ინტეგრაციას და მოტივაციის ამაღლებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე, მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, კურიკულუმებში სრულად გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომები. ორივე საგანში წარმოდგენილია მრავალფეროვანი აქტივობები და დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს სხვადასხვა ტიპის მოსწავლის თანაბარ ჩართულობასა და განვითარებას, ამარტივებს სწავლის პროცესს და უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის მონაწილეობას საგანმანათლებლო პროცესში. გარდა ამისა, ესთეტიკის კათედრამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები კონკრეტული მოსწავლეებისთვის, რომლებიც დამუშავებულია დიაგნოზის საფუძველზე მრავალი სუბიექტის (მასწავლებელი, დამრიგებელი, მშობელი და სხვა) ჩართულობით და მიზნად ისახავს თითოეული მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში შეთავაზებული აქვთ დავალებები, რომლებზეც მუშაობა სხვადასხვა მზაობის თითოეული მოსწავლის ცოდნა-გამოცდილების, ინტერესების გათვალისწინების გარეშე სათანადოდ ვერ წარიმართება. შემოქმედებით დავალებაზე მუშაობამ თითოეული მოსწავლე უნდა გააქტიუროს, რათა მოსწავლემ თავად ააგოს ცოდნა. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

მათემატიკა	სკოლა უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღების თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისათვის. სკოლა იღებს ყველა გონივრული ზომას მოსწავლის ცოდნის სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად. კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებები ისეა შედგენილი, რომ გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინტერესები. ამჟამად სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე, თუმცა სკოლა მზაობას აცხადება შეუდგინოს და ასწავლოს მოსწავლეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციების საფუძველზე **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულდ მისი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. კომპლექსური ტიპის სამუშაო მოსწავლეს საშუალებას აძლევს ერთი და იგივე საკითხის, ერთი და იგივე სამიზნე ცნების დამუშავებისას, აირჩიოს სხვადასხვა დავალებები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ტექნოლოგიები	როგორც მოწოდებული დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად ირკვევა, სკოლას გათვალისწინებული აქვს სწავლების დიფერენცირებული მიდგომები. სწავლა-სწავლების პრინციპები ორიენტირებულია: სასწავლო გარემოს მოქნილობაზე; სწავლის პროცესზე; მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ სასწავლო პროგრამაზე; დავალებების კომპლექსურ ბუნებასა და მრავალფეროვნებაზე. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ დიფერენცირების როლი სწავლა-სწავლების პროცესში. როგორც აღნიშნეს, მათ მიერ დაგეგმილი აქტივობები გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. მოსწავლეებს აძლევენ არჩევანის თავისუფლებას ან სთავაზობენ ისეთ დავალებას, რომელიც მორგებულია მათ შესაძლებლობებს. საჭიროებისამებრ ახდენენ დავალებების მოდიფიცირებას სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. აღნიშნული მიდგომები უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ინკლუზიურობას, მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებას და კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. მათ აქვთ შესაძლებლობა წარმატებით განახორციელონ სასწავლო პროცესი ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით. დამატებით დოკუმენტაციაში გადმოგზავნილი აქვთ დიფერენცირებული პრინციპებით დაგეგმილი დავალებები. შერწყმულ სკოლაში, კლასები იმდენად მცირერიცხოვანია,(1, ან 2 მოსწავლეა) რომ ფაქტობრივად ინდივიდუალურად მუშაობენ თითოეულ მოსწავლესთან. **ინდიკატორი შეესაბამება**

2.1.2.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლების სამივე საფეხურზე გამოიყენება განმსაზღვრელი და მრავალფეროვანი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და მის შესაბამის მკვიდრ წარმოდგენებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ შეფასების პროცესი ეფუძნება საგნობრივ სტანდარტებსა და შედეგებს. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება. მტკიცებულების სახით წარმოდგენილია შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები და სქემები, რომლებიც შემუშავებულია როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული დავალებებისთვის. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარდით დადგენილ მოთხოვნებს**
უცხოური ენები	უცხოური ენის კათედრამ წარმოადგინა როგორც განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ასევე განმავითარებელი შეფასების ნიმუშები. შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ არის ასახული, თუ რომელი სწავლის შედეგს მიემართება შეფასება. მოსწავლეები ინფორმირებულნი არიან იმის შესახებ, თუ როგორ ფასდება მათი ცოდნა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე, მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, კურიკულუმებში გამოყენებულია შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაფუძნებულია სამიზნე ცნებებზე და მორგებულია კონკრეტული სასწავლო მიზნების შესრულებაზე. შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც დავალების სწორად გაგებას, ისე ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას. შემოქმედებითი დავალებების ანალიზის გზით მარტივად მოწმდება, თუ რომელ კრიტერიუმს რომელ მიზანთან აქვს შესაბამისობა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი აქვთ შეფასების ზოგადი და კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკების ნიმუშები. შეფასების სქემებში კონკრეტული დავალების მიხედვით დაკონკრეტებულია შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორები. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა** (სამივე საფეხურისთვის): მიზანშეწონილია, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები გადაიხედოს _ ვთქვათ, რამდენად ლოგიკურია, ნაშრომის სტრუქტურა სამი სხვადასხვა კრიტერიუმით შეფასდეს ან თითოეულ კრიტერიუმს თანაბარი ქულა მიენიჭოს.
მათემატიკა	გადმოგზავნილ მასალებში არის როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითრებელი შეფასების რუბრიკები. ზოგ შემთხვევაში ეს არის ზოგადი შფასებირ რუბრიკები. გადმოგზავნილი მასალებიდან ჩანს, რომ გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპები, მიზნები და ამოცანები. შეფასების რუბრიკებში სამივე სამიზნე ცნება არის გათვალისწინებული. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში ქულები სხვადასხვანაირად არის გადანაწილებული სამივე სამიზნე ცნებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სპორტი	მოსწავლეთა ცოდნის კონსტრუირების და შეძენილი ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის განმსაზღვრელია მოსწავლის შეფასება. მასწავლებელი ითვალისწინებს სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და აქიდან გამომდინარე აკეთებს უკუკავშირს, რომელიც ძირითადად სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე, უკუკავშირის გაცემა ძირითადად ვერბალურად და განმავითარებელი კომენტარის სახით განხორციელდა, მათ აქვთ მზაობა ახალი კურიკულუმების დანერგვის პროცესში თემების მიხედვით შეიქმნან ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რის შემუშავებაშიც ასევე აქტიურად იქნებიან ჩართულნი მოსწავლეებიც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ტექნოლოგიები	მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ მასალაში გაწერილია მოსწავლეთა აკადემიური შეფასების გზები, სადაც დეტალურად არის მოცემული შეფასების მიზნები და ამოცანები. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად სკოლა იყენებს შეფასების განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას. პედაგოგი სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს. მასწავლებლის მიერ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები (შეფასების რუბრიკები, დიაგნოსტირება) უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში და ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლემ გააანალიზოს საკუთარი პროგრესი და განსაზღვროს შემდგომი განვითარების მიმართულებები. აღნიშნული მიდგომა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც მოსწავლე არის შეფასების პროცესის აქტიური მონაწილე. შესაბამისად, წარმოდგენილი შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, უზრუნველყოფს შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის დოკუმენტაციის გაცნობისა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. აღნიშნული სისტემა ემყარება მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას, განვითარების პრინციპს და მიზნად ისახავს სწავლის პროცესის გაუმჯობესებას, პიროვნული ზრდის ხელშეწყობას და მოსწავლის განვითარებაზე მუდმივ ზრუნვას. წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ტიპები, როგორიცაა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რომელთა რუბრიკებიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კრიტერიუმებს. შეფასებები წარმოდგენილია თემების მიხედვით, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.1.2.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის განვითარების/შემუშავების მეთოდოლოგია;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- კათედრების სხდომების სამუშაო ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლების სამივე საფეხურზე, სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და საჭიროებებზე, გათვალისწინ ებულია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, წახალისებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და მათთან ახალი ინფორმაციის გაზიარების პრაქტიკა, აქტიურად ხორციელდება არაფორმალური აქტივობები, პროექტები, კონკურსები და ა.შ. შემაჯამებელი დავალებები არის მრავალფეროვანი და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს და ამოცანებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაცია, პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება შემუშავებული კურიკულუმების შესაბამისად. სასწავლო პროცესი დინამიკურია და ორიენტირებულია განვითარებაზე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა პერიოდულად აანალიზებს კურიკულუმის განხორციელების პროცესს. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე, კათედრა გეგმავს კურიკულუმებში შეტანას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო გეგმის მორგებას მოსწავლეთა საჭიროებებზე **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარდით დადგენილ მოთხოვნებს**
უცხოური ენები	პირველ და მეორე უცხოურ ენებში აქტივობები დაგეგმილია და ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების და საკითხების შესაბამისად. ამასთანავე, წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ შემაჯამებელი დავალებები და პროექტული ტიპის აქტივობები სრულ თანხვედრაშია სასკოლო კურიკულუმთან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე, მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. მოწოდებული მასალების მიხედვით, სხვადასხვა მსხვილი სასწავლო თემის აქტივობები დაგეგმილია როგორც შინაარსობრივი, ასევე ქრონოლოგიური თვალსაზრისით და სრულად არის ორიენტირებული სასწავლო მიზნებზე. კონტექსტუალური მაგალითები და სასწავლო რესურსები შინაარსობრივად შეესაბამება ერთმანეთს, რაც ცხადყოფს მიზანმიმართულ დაგეგმვას და კურიკულუმის სისტემურ განხორციელებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი აქვთ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. შემუშავებული სასკოლო კურიკულუმის სასწავლო პროცესში დასანერგად და კურიკულუმის განვითარებისთვის გათვალისწინებულია დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებსა და მიზნებს. კოლეგებთან ინტერვიუშიც და სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებიდანაც ჩანს, რომ მუშაობენ სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებსა მიდგომებზე. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

სპორტი	საგნობრივი კურიკულუმი მიემართება სამიზნე ცნებებს და ემსახურება მკვიდრი წარმოდგენების გააზრებას. წარმოდგენილია ასევე კომპლექსური დავალებების ნიმუშები და/ან პირობები. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზების და ურთიერთდაკავშირების საშუალებას იძლევა. წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვლილი თემები, მოსწავლეს ხელს შეუწყობს საგნობრივი საკითხების გააზრებაში. ხოლო კომპლექსური დავალებები მოსწავლეს დაეხმარება პრობლემის გადაჭრაში, გამოწვევასთან გამკლავებაში, პროდუქტის შექმნაში, სხვისი მოსაზრებების გათვალისწინებასა და ყველა გამოცდილების მობილიზებაში, გამომდინარე აქედან სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებელს წარმოდგენილი აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმები, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზნების მიღწევაზე ორიენტირებული კომპლექსური ტიპის დავალებების გეგმები (რომლითაც გათვალისწინებულია შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა), აქტივობებით და შესაბამისი შეფასების რუბრიკებით. წარმოდგენილ მასალაში ჩანს, რომ სასწავლო აქტივობები და შეფასების ინსტრუმენტები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმითა და სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესს გეგმავს სასკოლო კურიკულუმისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, იყენებს შესაბამის შეფასების ფორმებს და უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევაზე ორიენტირებულ დაგეგმვას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საკლასო სივრცე, გარემო, რესურსები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი კურიკულუმის ჩარჩო, კომპლექსური დავალებები, აქტივობები და მეთოდები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სწავლების მეთოდები და აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, ცოდნის გააზრებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას. კურიკულუმის შესაბამისად დაგეგმილი სწავლება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებულობას და მიზნობრივობას. მათ მიერ შექმნილ კურიკულუმზე დაფუძნებული დაგეგმვა ასევე ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან მართვას, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებას. შედეგად, სასწავლო პროცესი ხდება უფრო მიზანმიმართული, სტრუქტურირებული და ორიენტირებული მოსწავლეთა აკადემიური და პიროვნული განვითარების ხელშეწყობაზე. დაწყებით საფეხურზე აქვთ კლას-კომპლექტები და მართალია, კლას-კომპლექტების კურიკულუმები არ აქვთ წარმოდგენილი, თუმცა სწავლების პროცესი ნათლად აღწერეს მასწავლებლებმა . ქართულის მასწავლებელმა თქვა, რომ ერთნაირ თემებს ამთხვევენ ტექსტებს და შემდეგ მსჯელობენ ორივე კლასის მოსწავლეები ამ თემის ირგვლივ. მთავარ სათქმელზე, იდეაზე, პერსონაჟებზე, რაც ემსახურება დეკლარატიული ცოდნის პირობისეულში გადატანას. მათემატიკაში კი უფრო მარტივია თემების და საკითხების თანხვედრა და მოსწავლეები წინსწრებით სწავლობენ ამა თუ იმ საკითხს და შემდეგ კლასში კი სიღრმისეულად გადიან მასალას. **რჩევა:** სკოლას მივეცი რჩევა სასწვლო წლის დასასრულს განახორციელონ კურიკულუმების რევიზია და შეიტანონ ცვლილებები საჭიროებისამებრ კოლეგებთან თანამშრომლობით. ასევე მომავალი სასწავლო წლისათვის დაგეგმონ კურიკულუმი კლას-კომპლექტებზე მორგებულად. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2.2.2.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სასწავლო პროცესში, წარმოქმნილ პრობლემებზე რეაგირების მიმართულებით სკოლა აღწერდა არაერთ პრაქტიკას და მაგალითს, მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს შემუშავებული შესაბამისი სამოქმედო გეგმა. მასწავლებლების თქმით, შემხვედრ საჭიროებებზე რეაგირების მიზნით, მაგ. თუ რომელიმე აქტივობამ ვერ იმუშავა სწავლების პროცესში, ხდება მისი ცვლილება და სხვა აქტივობით. ასევე, საჭიროების შემთხვევაში მოდიფიცირდება ინდივიდუალური გეგმები. სკოლა აღწერდა, რომ ამ საჭიროებების დადგენას ახდენს მშობლებთან აქტიური კომუნიკაციითა და მათთან შეხვედრების შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე. სწავლა-სწავლების პროცესში მუდმივად ხდება დაკვირვება თუ სად იკვეთება სუსტი მხარე კურიკულუმის დანერგვისას, შესაბამისად სკოლა რეაგირებს გამოკვეთილ საჭიროებებზე. თავის მხრივ, სკოლაში დამტკიცებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტიც ეხება ინდიკატორით გათვალისწინებულ საკითხებს.

2.2.1 (2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლების დაწყებით საფეხურზე (I-IV) გამოიყენება განმავითარებელი, ხოლო V-VI, VII-XII კლასებში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. რუბრიკების შემუშავება ხდება საგნობრივ კათედრების ერთობლივი ჩართულობით. წლის განმავლობაში ხდება მათი მოდიფიცირება და მორგება კონკრეტულ საჭიროებებზე. თითოეული მოსწავლისთვის წინასწარ არის ცნობილი თუ რა კრიტერიუმით შეფასდება კონკრეტული დავალების შესრულებისას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სკოლაში მოსწავლეთა შეფასების პროცესი არის ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სანდო. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება, რომელიც ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და პროგრესზე. სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასების პროცესის გამჭვირვალობა და სამართლიანობა. მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან შეფასების მიზნებსა და კრიტერიუმებს; მათთვის ცნობილია, თუ რა მიმართულებით და რა ფორმით მოხდება მათი აკადემიური მიღწევების შეფასება. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და თითოეული მოსწავლის განვითარების მაქსიმალურ ხელშეწყობას **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარდით დადგენილ მოთხოვნებს**

უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა აკმაყოფილებს ინდიკატორში წარმოდგენილ მოთხოვნებს. სკოლა ცდილობს შეფასების სისტემა დააფუძნოს სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებზე. შეფასების პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა საკლასო პრეზენტაციებს, ჩართულობასა და ენობრივ უნარებს. გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები გამჭვირვალეა — მოსწავლეებს აქვთ მკაფიო წარმოდგენა შეფასების კრიტერიუმებზე და იციან, რა მოთხოვნების შესაბამისად ფასდებიან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე, მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში გამოყენებული შეფასების რუბრიკები მიმართულია კონკრეტულ დავალებებსა და იმ მოლოდინებზე, რომლებიც განსაზღვრულია დავალების პირობასა და ინსტრუქციაში. რუბრიკები სტრუქტურირებულია სასწავლო მიზნების შესაბამისად და ეფუძნება სამიზნე ცნებებს, რაც შეფასების პროცესს სრულად გამჭვირვალეს, სამართლიანსა და მოსწავლისთვის გასაგებს ხდის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	შემუშავებული აქვთ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც სასწავლო პროცესის შეფასების სისტემა ჰოლისტურია. სრული სურათის შესაქმნელად ინფორმაციის მოპოვება იგეგმება მრავალფეროვანი წყაროებით _ როგორც მოსწავლისგან, ისე მასწავლებლისა და მშობლისგან. მასწავლებელი იკვლევს საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკას. იგეგმება მონაცემთა მოპოვების მრავალფეროვანი მეთოდები _ დაკვირვება, ტესტირება, ინტერვიუ. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

მათემატიკა	სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების მიზნით, სკოლ ა ახორციელებს მონიტორინგს. აღნიშნული მიზნით სკოლაში იქმნება ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, შეფასებას მართვისთვის/მხარდაჭერისთვის, შეფასების სისტემის ვერიფიკაციას, სხვადასხვა კვლევების ჩატარებას, ინფორმაციის შეგროვებას, ანალიზს და მართვისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, სისტემის გამჭვირვალობას და ობიექტურობას ადასტურებს ის გარემოება, რომ მასწავლებლები შეფასების რუბრიკებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია იმ შეფასების კრიტერიუმების შესახებ, რითაც ისინი შეფასდებიან სპორტული აქტივობების დროს, ეს ყოველივე საშუალებას მისცემს მოსწავლეებს უფრო ორგანიზებულად და მონდომებით შეასრულონ აქტივობები. შეფასების სისტემა ასევე აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმით და იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ტექნოლოგიები	დოკუმენტაციის შესწავლისას და მასწავლებელთან ინტერვის დროს გაირკვა, რომ შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები, მოსწავლეთათვის წინასწარაა ცნობილი. ეს კი უზრუნველყოფს შეფასების პროცესის **გამჭვირვალობას.** წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ჩანს, რომ შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული მისაღწევი შედეგებიდან და შესაბამისობაშია თემის ფარგლებში განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან. ამასთან, შეფასების კრიტერიუმები ადაპტირებულია კონკრეტული სასწავლო დავალების პირობებსა და მოთხოვნებზე. აღნიშნული უზრუნველყოფს შეფასების სისტემის **ვალიდურობას,** რადგან შეფასების ინსტრუმენტები პირდაპირ არის დაკავშირებული სასწავლო მიზნებთან, საგნობრივი სტანდარტის შედეგებთან და მოსწავლეთა მიერ შესასრულებელი დავალების შინაარსთან. შესაბამისად, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის მიერ გამოყენებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას და შეესაბამება სკოლისა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა შეფასების სისტემა, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმითა და შიდა რეგულაციებით. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების, ცოდნისა და უნარების ობიექტურ და თანმიმდევრულ შეფასებას. შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიანი მიზნებს, შესაბამისად, შეფასება არის ვალიდური, სანდო. მიმაჩნია, რომ ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი მონიტორინგის სისტემა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს შეფასების სისტემის ობიექტურობაში და გამჭირვალეობაში. მასწავლებელთა შეფასების პროცესი სასწავლო პროცესის ნაწილია და ორიენტირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერაზე. შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე. **რჩევა:** სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება (ყველა საგანი). შეიმუშაოს შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება სწავლების მიზნებსა და თემატურ შინაარსს. **ინდიკატორი შეესაბამე.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში შემუშავებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი, რომელიც სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, სასწავლო პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულების ვერიფიკაცია. სსიპ – გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლამ ვერიფიკაციის წესის შესაბამისად შექმნა ვერიფიკაციის ჯგუფი (ბრძანება N 2-58, 25დეკემბერი , 2025 წ.). სკოლა აქტიურად გეგმავს აღნიშნული წესისა და სამუშაო ჯგუფის მიერ შექმნილი გეგმის მიხედვით იმუშაოს ვერიფიკაციის პროცესში ჩართულ სხვადასხვა მონაწილესთან, მათ შორის, მოსწავლეებთან ერთად.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სსიპ – საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხამის საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო შენახვის მექანიზმი, კერძოდ, არქივზე პასუხისმგებელი პირისთვის გადაცემა.

დოკუმენტაციის შესაბამისი ინახება სკოლის პირად საქმეებსა და შეფასების ელექტრონულ სისტემაში, მატერიალური ნაწილი კი სპეციალურად გამოყოფილ და დაცულ კარადებში. სკოლაში შეფასების ამსახველი მტკიცებულებები რამდენიმე ფორმით გვხვდება: ერთი მხრივ, მე-5 კლასის მე-2 სემესტრისა და მე-6 კლასში განმსაზღვრელი შეფასებები ასახულია მოსწავლეთა პირად საქმეებში, ხოლო ისინი დაარქივებულია სასკოლო სივრცეში, მოსწავლეთა შეფასება ასევე აისახება შეფასების ელექტრონული სისტემაში, ელექტრონულ სისტემაში ასევე ასახულია 1-დან მე-5 კლასის პირველი სემესტრის განმავლობაში ასახული განმავითარებელი შეფასებები, შეფასების მატერიალურ და/ან ციფრულ მტკიცებულებებს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ინახავენ და იცავენ მასწავლებლები და დამრიგებლები, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მათი მოძიება.

2.2.1 (5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
.კურიკულუმის განვითარების/შემუშავების მეთოდოლოგია;

1. სასკოლო სასწავლო გეგმა
2. საგნობრივი კურიკულუმები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების);
3. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების);
4. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების);
5. კათედრის სხდომის/სამუშაო ოქმები;
6. მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
7. შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი;
8. გაკვეთილებზე ურთიერთდაკვირვების მასალები და რეფლექსიები

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	როგორც წარდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, სწავლების სამივე საფეხურზე სწავლების პროცესში გამოიყენება ის ძირითადი და დამხმარე რესურსი, რომლებიც კურიკულუმითაა განსაზღვრული. მასწავლებლები გრიფირებული სახელმძღვანელოების გარდა, იყენებენ სხვადასხვა ელექტრონულ თუ მატერიალურ რესურსს, მოდელებს, ილუსტრაციებს, დამხმარე ლიტერატურას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად აქტიურად გამოიყენება კურიკულუმებში ჩაშენებული მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები: ინტერნეტპლატფორმები, ელექტრონული რესურსები. აღნიშნული მასალების მიზნობრივი გამოყენება ამდიდრებს საგნობრივ კონტენტს, ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და უზრუნველყოფს ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარდით დადგენილ მოთხოვნებს**
უცხოური ენები	კათედრას საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი აქვს ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელოები). რესურსების გამოყენება დასტურდება საკლასო თუ სასკოლო აქტივობებთან მიმართებით , მათ შორის სასწავლო პროექტიების განხორციელებისას როგორც ინგლისურ, ასევე გერმანულ ენებში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე, მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, კურიკულუმში ძირითად სასწავლო რესურსს წარმოადგენს გრიფირებული სახელმძღვანელოები. ამასთან ერთად, გამოიყენება მრავალი დამატებითი რესურსი, რაც საგანს მრავალფეროვანსა და მოსწავლეზე მეტად მორგებულს ხდის. ეს კომბინაცია ამდიდრებს სასწავლო პროცესს და ამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციასა და ჩართულობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში იგეგმება როგორც ძირითადი, ისე დამხმარე რესურსის გამოყენება. საგნობრივ კურიკულუმებში, გარდა სახელმძღვანელოებისა, დაგეგმილია დამატებითი გრაფიკული მაორგანიზებლების, მულტიმედიური ტექსტების გამოყენება. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	მათემატიკის კურიკლუმებში შემუშავებული საკითხები, სამიზნე ცნებები და ინტეგრირებული შემოქმედებითი დავალებები ნამდვილად ეყრდნობა სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს,შესაძლებლობებს,წინარე ცოდნასა და საჭიროებებს. რაზეც პედაგოგებმა ცალკე ისაუბრეს ინტერვიუს პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
სპორტი	კურიკულუმის გაცნობის და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები სრულად გამოიყენება სასწავლო პროცესში, სკოლას აქვს საკმარისი სპორტული ინვენტარი და გამართული ინფრასტრუქტურა, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობდეს დაუბრკოლებლად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ტექნოლოგიები	მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუსა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის სწავლების პროცესში გამოყენებულია კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსები. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მასშტაბით სკოლებში არ არის წარმოდგენილი აღნიშნული საგნის გრიფირებული სახელმძღვანელო, სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას და შეესაბამება საგნობრივი კურიკულუმის მოთხოვნებს. ძირითად სასწავლო რესურსად გამოიყენება ელექტრონული პლატფორმა **school.emis.ge**, სადაც წარმოდგენილია სასწავლო მასალა, თემები და აქტივობები. დამატებით, მასწავლებელი იყენებს დამხმარე საგანმანათლებლო რესურსებს, როგორიცაა **YouTube**, ინტერნეტის საძიებო სისტემები და ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს ინფორმაციის მოძიებაში, თემების უკეთ გააზრებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებაში. ამასთანავე, მასწავლებელი ქმნის საკუთარ ციფრულ სასწავლო რესურსებს (პრეზენტაციები, ინსტრუქციები, სავარჯიშოები), რაც ხელს უწყობს სასწავლო მასალის ადაპტირებას მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და საჭიროებების მიხედვით. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში სისტემურად იყენებს კურიკულუმით განსაზღვრულ როგორც ძირითად, ისე დამხმარე სასწავლო რესურსებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების ეფექტიან განხორციელებას და თანამედროვე ციფრული გარემოს ინტეგრირებას სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას გამოიყენება ეროვნული სასწავლო გეგმითა და კურიკულუმით განსაზღვრული **ძირითადი რესურსები,** როგორიცაა სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები და მასწავლებლის გზამკვლევები. აღნიშნული რესურსები უზრუნველყოფს სასწავლო თემების სისტემურ და თანმიმდევრულ მიწოდებას. მასწავლებელი ასევე აქტიურად იყენებს **დამხმარე სასწავლო რესურსებს,** რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა უკეთ ჩართულობასა და თემის გააზრებას. მათ შორისაა: პრეზენტაციები და ვიზუალური მასალები; საგანმანათლებლო ვიდეოები და სიმულაციები; სქემები, გრაფიკები და ილუსტრაციები;სამუშაო ფურცლები და დამატებითი სავარჯიშოები რესურსები კი საკითხების მიხედვითაა მითითებული (ბმულებითაა ჩაშენებული) კურიკულუმებში.; დამხმარე რესურსების გამოყენება ხელს უწყობს **სწავლების დიფერენცირებას,** სხვადასხვა ტიპის მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებას და სასწავლო მასალის მრავალმხრივ წარმოდგენას. **ინდიკატორი შეესაბამება**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ძირითადად, დამხმარე რესურსების ვალიდაცია ხდება კათედრის შეხვედრაზე, რის დამადასტურებლადაც სკოლამ წარმოადგინა კათედრის სამუშაო გეგმა, კათედრის სხდომის ოქმები, ანგარიშები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში სასწავლო რესურსების შერჩევა ხორციელდება დადგენილი **ვალიდაციის წესის** შესაბამისად. პროცესი უზრუნველყოფს, რომ გამოყენებული მატერიალური თუ ციფრული მასალა იყოს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თავსებადი, პედაგოგიურად გამართული, სანდო და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებზე მორგებული. სასწავლო წლის დასაწყისში კათედრები განიხილავენ და ამტკიცებენ რესურსების ჩამონათვალს მათი მიზნობრიობისა და უსაფრთხოების გათვალისწინებით. კურიკულუმებში ინტეგრირებული ჰიპერლინკები და დამხმარე მასალები ვალიდურია და ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე. პრაქტიკაში რესურსების გამოყენების შემდეგ, მასწავლებელთა და მოსწავლეთა გამოცდილების გაზიარება უზრუნველყოფს სასწავლო მასალების მუდმივ გადამოწმებასა და განახლებას. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარდით დადგენილ მოთხოვნებს**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის და კათედრის სამოქმედო გეგმის შესაბამისად დგინდება, რომ კათედრა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას და ასახავს კათედრის ოქმებში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე, მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, სკოლა ამოწმებს და აღასტურებს, რამდენად შეესაბამება დამატებითი (დამხმარე) სასწავლო რესურსი სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებსა და პროგრამას. **რჩევა:** სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად იზრუნოს დამხმარე რესურსების განვითარებასა და გამოყენებაზე (მაგალითად: სამუშაო ფურცლები, პრეზენტაციები, ვიდეოები და სხვა), რაც მნიშვნელოვნად გაამრავალფეროვნებს და გააუმჯობესებს სასწავლო პროცესს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

სახელმწიფო ენა	დამხმარე სასწავლო რესურსის შერჩევას წინ უსწრებს რესურსის სათანადო შეფასება _ რამდენად სანდო და ხარისხიანია მასალა. ასევე განიხილება, რამდენად მიზანმიმართულია მისი გამოყენება კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში, რესურსად გამოყენებული სსახელმძღვანელოები რომლსაც იყენებენ სასწავლო პროცესში არის გრიფმინიჭებული. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლას არ წარმოუდგენია კონკრეტული დოკუმენტი ვალიდაციის პროცესის, თუმცა გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ მუდმივად ხდება კათედრის სხდომაზე წევრებს შორის დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდურობის შეფასება, ასევე აღინიშნა მზაობა დოკუმენტაციის შექმნის შესახებ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაცის ანალიზით ჩანს, რომ სკოლის მიერ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული ძირითადი საგანმანათლებლო რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო არ არსებობს) არის სამინისტროს მიერ რეკომენდირებული და მოწოდებული ელ. რესურსი. კერძოდ; school.emis.ge. შესაბამისად, შეიძლება მივიჩნიოთ რომ კომპიუტერულ ტექნოლოგიებში გამოყენებული ძირითადი რესურსი არის ვალიდური (ასაკობრივად, თემატურად შესაბამისი, უსაფრთხო გამოყენების თვალსაზრისით). რაც შეეხება დამხმარე სასწავლო რესურსებს, სკოლის მიერ განსაზღვრულია მისი ვალიდაციის კრიტერიუმები, კერძოდ : სასწავლო რესურსის შინაარსობრივი გამართულობა, სასწავლო რესურსის შესაბამისობა მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან, რესურსის სანდოობა, სასწავლო რესურსის გამოყენებისას უსაფრთხოების ნორმების დაცვა. შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას აქვს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის მექანიზმები და შეუძლია უზრუნველყოს ამ რესურსების ვალიდაცია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლამ, მოთხოვნის საფუძველზე, წარმოადგინა კათედრის მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია(კათედრის მუშაობის ოქმი და კათედრის სამუშაო გეგმა), საიდანაც ჩანს, რომ კათედრაზე ხდება რესურსების შერჩევა და მათი ვალიდაცია. სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევენ, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე მათთვის მისაღებ სასწავლო დამატებით რესურსებს. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2.2.2 (2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლების სამივე საფეხურზე კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი მიზნობრივი, მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობისა და ასაკობრივ ჯგუფზე გათვლილი მატერიალური რესურსით, სკოლას აქვს კეთილმოწყობილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია – საჭირო ინვენტარით აღჭურვილი, სადაც ცოდნის სამივე კატეგორიაზე გათვლილი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება სხვადასხვა ცდებით და ექსპერიმენტებით ხდება, მასწავლებლები იყენებენ ასევე ონლაინ და მატერიალურ რესურსებს, რომლებიც მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას უწყობს ხელს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მატერიალური ბაზა სამივე საფეხურზე სრულად უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარდით დადგენილ მოთხოვნებს**
უცხოური ენები	სწავლის შედეგების მიღწევა უცხოურ ენებში უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოების, ასევე დამატებითი ფიზიკური თუ ციფრული რესურსების სახით. ეს საშუალებას აძლევს როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეს ეფექტურად განახორციელონ სასწავლო პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე, მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, სკოლა უზრუნველყოფს, რომ სასწავლო მიზნების მიღწევა შესაძლებელი იყოს შესაბამისი მატერიალური რესურსების მეშვეობით. არსებული რესურსები ადეკვატურად ერგება მოსწავლეთა მაქსიმალურად დასაშვებ რაოდენობას, რათა სასწავლო პროცესის ხარისხი არ დაზარალდეს. **რჩევა:** · საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია სკოლაში მრავალფეროვანი რესურსების სისტემური შემოტანა. · სასურველია, შეიქმნას სახელოსნოს ტიპის სივრცე ხელოვნების გაკვეთილებისთვის, სადაც მოსწავლეებს თავისუფლად ექნებათ წვდომა საღებავებსა და სხვა მასალებზე. · რეკომენდებულია სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენა, რომელთა მოსინჯვის ან დაკვრის საშუალება ექნებათ მოსწავლეებს. ამისთვის მიზანშეწონილია მცირე, განცალკევებული სივრცის გამოყოფა. · სასურველია, მოსწავლეები რეგულარულად იმყოფებოდნენ საგამოფენო სივრცეებში, თეატრებში, კონცერტებსა და მუზეუმებში. კარგი პრაქტიკაა, თუ სკოლას ექნება შესაძლებლობა დააფინანსოს მათგან ზოგიერთის ბილეთები. · მნიშვნელოვანია აქტივობების ჩატარება ღია სივრცეში — ბუნებაში და ღია ცის ქვეშ — რაც განსაკუთრებით ეფექტურია როგორც სახვითი, ისე მუსიკის საგნების სწავლებისთვის. მიზანშეწონილია, სკოლამ რეგულარულად შეიძინოს რეპროდუქციების ალბომები და სხვა ვიზუალური მასალები, რათა მოსწავლეებმა ხარისხიანი სურათები გამოიყენონ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სკოლას სათანადო გარემო აქვს შექმნილი კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად. შესაბამისი მატერიალური რესურსი კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

მათემატიკა	კურიკულუმების მიხედვით, ძირითადი მატერიალური რესურსი არის სახელმძღვანელოები ასევე სხვადასხვა საშუალებები. სკოლას აქვს საშუალება უზრუნველყოს მოსწავლეები პროექტორით, პრინტერებით და კომპიუტერებით, რაც იძლევა დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენების საშუალებას. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლას აქვს ღია და დახურული სპორტული ინფრასტრუქტურა და შესაბამისი სპორტული ინვენტარი, რაც პედაგოგებს უწყობს ხელს დაუბრკოლებლად განახორციელონ საგაკვეთილო-სასწავლო პროცესი, რაც გვაძლევს იმ დასკვნის საშუალებას, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ტექნოლოგიები	მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუსა და სასწავლო გარემოს სურათების დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის სწავლებისთვის სკოლაში შექმნილია შესაბამისი პირობები. სკოლას აქვს შესაბამისი ავეჯიტ აღჭურვილი კეთილმოწყობილი კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფს პრაქტიკულ სასწავლო საქმიანობას და ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. სასწავლო პროცესში ხელმისაწვდომია მატერიალურ-ტექნიკური რესურსები: ინტერნეტში ჩართული პერსონალური კომპიუტერები და პროექტორი, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გამოიყენოს როგორც ციფრული სასწავლო რესურსები, ასევე ვიზუალური და საპრეზენტაციო მასალა. დამატებით გამოიყენება ს სხვადასხვა ვიზუალური რესურსი, რომლებიც ხელს უწყობს ინფორმაციის თვალსაჩინოდ წარმოდგენას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსები ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. მატერიალური რესურსი შეესაბამება მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას. სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, საჭირო რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკა და ინტერნეტი. პორტატული ლეპტოპები. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2.2.2 (3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

1.სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლაში დასაქმებულია კვალიფიციური და კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი მასწავლებლები, რომლებიც ფლობენ შესაბამის გამოცდილებასა და კვალიფიკაციას, რაც ასევე დასტურდება მასწავლებლების პირადი საქმეებისა და ხელშეკრულებების შესწავლით, ასევე ელექტრონული ბაზების გადამოწმებით. სკოლაში მუშაობს საგნობრივი წამყვანი მასწავლებლები . ყველა საგანს ასწავლის სპეციალიზებული და კვალიფიციური მასწავლებელი,, სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია, ბილიოთეკარი, IT სპეციალისტი. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი ადამიანური რესურსების მართვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. სასკოლო კურიკულუმი;
3. საგნობრივი კურიკულუმები;
4. გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი;
5. მოსწავლეების შექმნილი რესურსების ამსახველი მტკიცებულებები
6. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
7. მასწავლებლის პორტფოლიო;
8. მასწავლებლის პირადი საქმეები.
9. ხელოვნების საათებზე ვაკანსიის გამოცხადების ამსახველი დოკუმენტაცია

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
o ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

მონიტორინგისა და შეფასების პროცედურები და პოლიტიკა დადგენილია კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. როგორც ზემოთ აღვწერეთ, სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელშიც შინაარსობრივად 2.3.1.1. ინდიკატორის საკითხებსაც მოიაზრებს. ვინაიდან პირველად ავტორიზაციაზე აღნიშნული ინდიკატორი პროცესის სიღრმისეული შეფასების მიმართულებით არ ფასდება, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შესრულებულად მიიჩნევა. ამასთან, სკოლამ ინტრვიუების პროცესში გამოხატა მზაობა და გააზრება, მოტინორინგისა და შეფასების სამომავლო გეგმებისა და მნიშვნელობის გააზრების მიმართულებით..

2.3.1 (1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

სსიპ – საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხამის საჯარო სკოლის შესახებ შესაძლებელია აღინიშნოს, რომ მონიტორინგისა და შეფასების ფორმალიზებული პროცესი ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა სკოლას სრულად გააზრებული აქვს მისი საჭიროება და მნიშვნელობა და ამასთან, პრაქტიკაში იყენებს მის ელემენტებსაც. სკოლის ადმინისტრაცია აცნობიერებს, რომ სისტემური მონიტორინგი და პერიოდული შეფასება უმნიშვნელოვანესია, როგორც პრობლემების დროულად იდენტიფიცირებისთვის, ასევე ხარისხის გაუმჯობესების გრძელვადიანი სტრატეგიისთვის. ამ მიზნით, სკოლა უკვე იცნობს შესაბამისს ინსტრუმენტებს – მათ შორის დოკუმენტური ანალიზის, თვითშეფასების ფორმების, მოსწავლეთა და პედაგოგთა ჩართულობით განხორციელებულ დაკვირვებისა და უკუკავშირის მექანიზმებს. ამ ეტაპზე სკოლა მუშაობს შიდა რესურსების თავმოყრასა და გამართვაზე და გეგმავს, რომ მომდევნო სასწავლო წლის განმავლობაში დაიწყოს მონიტორინგისა და შეფასების სისტემური დანერგვა, რაც უზრუნველყოფს უკეთ მართულ პროცესებსა და გადაწყვეტილებების, მათ შორის კურიკულუმთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების, მტკიცებულებებზე დაყრდნობას.

2.3.1 (2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლას გააზრებული აქვს, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესები სკოლის განვითარებაში უკავშირდება სასკოლო საზოგადოების წევრების – მათ შორის მასწავლებლების, მოსწავლეების, ადმინისტრაციისა და მშობლების – მხარდაჭერასა და დახმარებას. ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლის წარმომადგენლები (ადმინისტრაცია, ხარისხის მართვის ჯგუფი) იაზრებს, რომ ეს პროცესი არ არის მხოლოდ კონტროლის მექანიზმი, არამედ მნიშვნელოვანია პროფესიული ზრდისთვის, სასკოლო კულტურის გაჯანსაღებისა და საერთო მიზნების მიღწევის ხელშეწყობისთვის. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად სკოლაში გამოიკვეთება ის მიმართულებები, სადაც საჭიროა დამატებითი რესურსი, ტრენინგი ან ცვლილება.

2.3.1 (3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
2. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
3. სასკოლო კურიკულუმი;
4. სასკოლო სასწავლო გეგმა;
5. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
6. განმსაზღვრელი შეფასების მასალები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

სკოლა აცნობიერებს შეფასების პროცესის როლს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაში და მის საფუძველზე მიზანმიმართული ცვლილებების საჭიროებას. შეფასების შედეგების ანალიზი გამოიყენება კურიკულუმში მიზნობრივი ცვლილებების შესატანად, რასაც თან ახლავს საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობა და პრიორიტეტების განსაზღვრა. მტკიცებულებებისა და ინტერვიუების საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა იყენებს შეფასების მრავალფეროვან წყაროებს და ხელმძღვანელობს ჰოლისტური მიდგომის პრინციპებით. მოსწავლეთა შეფასება არ შემოიფარგლება მხოლოდ საბოლოო პროდუქტით, არამედ შეფასება ხორციელდება სწავლა-სწავლების პროცესშიც, გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი ინსტრუმენტები, მათ შორის რუბრიკები, დაკვირვება, ზეპირი/წერილობითი ნამუშევრები და ჯგუფური მუშაობის ანალიზი. შესაბამისად, შეფასების პრაქტიკა მოიცავს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ წყაროებს, პროცესზე ორიენტირებულ მიდგომებს და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს, რაც არსებითად ემსახურება სწავლა-სწავლების ხარისხობრივ გაუმჯობესებას სკოლაში.

2.3.2 (1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სსიპ საჩხერის რაიონის სოფელ ცხამის საჯარო სკოლაში შეფასების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით ხდება. როგორც მტკიცებულებების ანალიზით, ასევე ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლა ცდილობს, შეფასება განახორციელოს სხვადასხვა მიმართულებით - მაგ. მოსწავლის ჩართულობა, მასწავლებლის მიერ ინსტრუქციების მიცემა, სასწავლო მასალის მკაფიოდ მიწოდება და რესურსების გამოყენება. მასწავლებლები რეგულარულად იღებენ უკუკავშირს როგორც მოსწავლეებისგან, ასევე

კოლეგებისა და სკოლის ადმინისტრაციისგან. სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ შეფასების შედეგები არ რჩება მხოლოდ ფურცელზე, არამედ მათი გათვალისწინებით ხდება სწავლების დაგეგმვა და მოდიფიცირება. მასწავლებლებთან გასაუბრებისას პედაგოგები აღნიშნავდნენ, რომ ცდილობენ, შეფასების პროცესში გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებები, წინარე ცოდნა და გარემო პირობები. მათთან საუბარში იკვეთებოდა იმის გააზრება, რომ სკოლის კოლექტივისთვის შეფასება არა მხოლოდ მიღწევების დაფიქსირებაა, ასე ვთქვათ, არამედ – სწავლის ხარისხის გაუმჯობესების საშუალებაა.

2.3.2 (2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

საჩხარის რაიონის სოფელ ცხამის საჯარო სკოლაში მონაცემთა შეგროვებისთვის გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მეთოდები, მათ შორის გამოკითხვა, ინტერვიუ და დაკვირვება (თუმცა, ჩანს, რომ აღნიშნული მეთოდების გარდა სკოლის წარმომადგენლები სხვა მეთოდებსაც იცნობენ). შეფასების პროცესში აქტიურად მონაწილეობენ მოსწავლეები და მასწავლებლები, ხოლო მშობლების ჩართულობა ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება. მონაცემები გამოიყენება როგორც გაკვეთილების, ისე ზოგადი სასწავლო პროცესის ანალიზისთვის, რაც სკოლას აძლევს საშუალებას, შეფასება დაუკავშიროს სწავლების გაუმჯობესებას. სკოლაში არის პრაქტიკა, როცა გაკვეთილის დასრულების შემდეგ მოსწავლეები ავსებენ მოკლე რეფლექსიის ფორმებს, სადაც პასუხობენ კითხვებს: რას ისწავლეს, რა იყო მათთვის საინტერესო ან გაუგებარი....

2.3.2 (3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

საჩხერის მუნიციპალიტეტის ცხამის საჯარო სკოლის წარმომადგენელთან შეხვედრებისა და წარმოდგენილი მასალების (მტკიცებულებების) ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა შეფასებისას ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორს, მათ შორის მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებს, ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, სოციო-ემოციურ ფონს და ზოგად უნარებს. მასწავლებლები აფიქსირებენ მზაობას, რომ გააანალიზონ, როგორ მოქმედებს ეს ფაქტორები მოსწავლის შედეგებზე, განსაკუთრებით განმავითარებელი შეფასებისას. სკოლაში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა მოტივაციას, ყოფაქცევას და დასწრებას, თუმცა ამ მიმართულებებით მიწოდებული უკუკავშირი ზოგჯერ ეყრდნობა ზოგად შეფასებებს და არა კონკრეტულად გამოკვეთილ მახასიათებლებს. საერთო ჯამში, სკოლა სწორად აღიქვამს შეფასების მნიშვნელობას სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით და კონკრეტული ნაბიჯებიც გადადგმულია, თუმცა მნიშვნელოვანია პროცესები გავნითარდეს შეფასების კონკრეტულობის, შედეგების ანალიზისა და მათი მიზნობრივი გამოყენების მიმართულებით.

2.3.2 (4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი);

2. სასკოლო კურიკულუმი;
3. სასკოლო სასწავლო გეგმა;
4. დამრიგებლის პორტფოლიო;
5. უკუკავშირები/შეფასებები მოსწავლეებისგან.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)

o ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის მიერ დამტკიცებულ მეთოდოლოგიურ დოკუმენტში მკაფიოდაა აღწერილი, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარება ეფუძნება მიმდინარე პროცესების ანალიზს და რევიზიას. საჭიროებათა განსაზღვრა და რეკომენდაციების შემუშავება გათვალისწინებულია როგორც მონაცემთა შეგროვების ეტაპზე (მაგ. კათედრების შეხვედრები, მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობა), ასევე კურიკულუმის ყოველწლიური განახლების

პროცესში. მეთოდოლოგია ასახავს მზაობას, რომ კურიკულუმის განვითარება მოხდეს სწავლების, ჩართულობისა და შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, რაც თავისთავად ქმნის საფუძველს სარეკომენდაციო პაკეტის ფორმირებისთვის. რეკომენდაციათა ჩამოყალიბების პროცესი ამ ეტაპზე მეტწილად დოკუმენტშია გაწერილი და საჭიროებს მეტ კონკრეტიკაციას პრაქტიკულ დონეზე, თუმცა სკოლაში მზაობა და საფუძველი შესამჩნევია.

2.4.1 (1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხამის საჯარო სკოლაში არსებული კურიკულუმის შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის რევიზია წინა წლის პროცესის ანალიზზე დაყრდნობით ხორციელდება . კონკრეტულად გაწერილია, რომ შეფასება და გადამუშავება ეფუძნება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის ანალიზს, აკადემიური შედეგების შეფასებას, მშობლების და მასწავლებლების ჩართულობის დონეს, დაკვირვებას თუ სხვ. ამ ანალიზზე დაყრდნობით კურიკულუმი ყოველწლიურად უნდა განახლდეს . მართალია ეს პრაქტიკა აღწერილია მეთოდოლოგიაში და მისი პროდუქტი და მტკიცებულებები (მაგალითად, რევიზიის ანგარიშები) ჯერ არ არსებობს, თუმცა პირველადი ავტორიზაციის ეტაპისთვის აღწერილი მიდგომა შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას.

2.4.1 (2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. კათედრის შეხვედრების და განხილვების მტკიცებულებები;
3. გაკვეთილის რეფლექსია და უკუკავშირი;
4. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
5. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი 28.05.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპორტის საგნობრივი ექსპერტი:

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი: ნინო

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი :

კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი /ავთანდილ ცნობილაძე/

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ექსპერტი /ანა ტაბატაძე/

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი / ნინო თამარაშვილი/ ნ. თამარაშვილი

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი: /ნ.მახარაშვილი/ ნ. მახარაშვილი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი ექსპერტი: თ. ცხადაია 

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი: ი. ქობალია ი. ქობალია